სამოქალაქო აქტორების ჩართულობა რეგიონული პოლიტიკის პროცესში

კვლევის ანგარიში

2018

თამარ კობერიძე,

ნინო დოლიძე

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ctc
Empowering
People for
Change

კვლევის ანგარიში: ,,სამოქალაქო აქტორების ჩართულობა რეგიონული პოლიტიკის პროცესში“ შემუშავებული პროექტის: ,,რეგიონების მხარდაჭერა მდგრადი განვითარებისთვის“ (ARSD). ARSD 2 წლიანი პროექტია, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მიმდინარეობს 2017 წლის 2 ოქტომბრიდან.

პროექტი ხორციელდება კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან: ფიფლ ინ ნიდ (PIN) და დემოკრატიის ინსტიტუტთან (IOD) თანამშრომლობით.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელნი არიან კვლევის ავტორები და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of authors and do not necessarily reflect the views of the European Union.

სარჩევი

1. შესავალი..1

2. მეთოდოლოგია 3

3. რეგიონული განვითარების აქტორების ჩართულობის უზრუნველყოფის ფორმები და მექანიზმები 4

4. საერთაშორისო პრაქტიკა 14

5. კვლევის შედეგები 24

5.1. ნორმატიული ბაზა 24

5.1.1.ევროინტეგრაცია 25

5.1.2 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი...26

5.1.3. სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები და შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობა 27

რეგიონული განვითარება 27

სოფლის მეურნეობა და სოფელი...30

პროფესიული განათლება...33

ეკონომიკა და ტურიზმი 34

5.2.ჩართულობის მაგალითები პოლიტიკის პროცესში 36

სტრატეგიის შემუშავება 36

დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და ანალიზი 36

ინსტიტუციური პარტნიორობა დაინტერესებულ მხარეებთან...37

პოლიტიკის განხორციელება...44

დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და ანალიზი 44

ინსტიტუციური პარტნიორობა დაინტერესებულ მხარეებთან...44

პოლიტიკის უკუგება და მონიტორინგი 48

5.3. შეჯამება და დასკვნა 51

5.4. რეკომენდაციები 57

გამოყენებული ლიტერატურა 59

დანართი #1 65

1. შესავალი

საჯარო პოლიტიკა წარმოადგენს მთავრობის ძალისხმევას, მოაწესრიგოს რაიმე პრობლემატური საკითხის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების ერთობლიობა (Dawes et al n/d). ამ კუთხით, საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკა აერთიანებს იმ ხედვას და საქმიანობას, რასაც ახორციელებენ ქვეყნის სამთავრობო უწყებები, რომელთაც პირდაპირი ან არაპირდაპირი ზეგავლენა აქვთ ქვეყნის რეგიონებში სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების მოწესრიგებაზე. პოლიტიკის ეფექტურობა შესაძლებელია შეფასდეს სხვადასხვა პერსპექტივიდან, როგორებიცაა, რამდენად მიღწეულია პოლიტიკის მიზნები, განხორციელების პროცესის ღირებულება და ეფექტურობა, ხარჯისა და სარგებლის ბალანსი და სხვა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ როგორც პოლიტიკა, ასევე პოლიტიკის შექმნის პროცესი აღიარებულ და მიღებულ იქნას დაინტერესებული მხარეების მიერ, სადაც დაინტერესებულ მხარეებად განიხილებიან ადამიანები ან ჯგუფები, რომელნიც ახდენენ ზეგავლენას პოლიტიკაზე, ან ვისზეც პოლიტიკა ახდენს ზეგავლენას (Dawes et al n/d).

რეგიონული განვითარების საქმეში დაინტერესებულ მხარეთა როლი, ფუნქციები და ერთმანეთთან ინტერაქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რეგიონული პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით. Giddens-ის (1984) სტრუქტურირების თეორიის მიხედვით, სოციალური სისტემის შექმნა და რეპროდუქცია თანაბრადაა განპირობებული სოციალური სისტემის სტრუქტურით და მისი აგენტებით. ამასთან, რეგიონული განვითარების ინსტიტუციების შემსწავლელი თეორიები ხაზს უსვამენ რეგიონული პოლიტიკის აქტორების ინტერაქციის მნიშვნელობას და აღნიშნავენ, რომ რაც მეტად კომპლექსური და ფუნდამენტურია მათი ურთიერთქმედება და ერთმანეთზე დამოკიდებულება, მით მეტად დინამიურია რეგიონული განვითარება.

რეგიონული განვითარების აქტორებს, ბუნებრივია, ამოძრავებთ ინტერესები. ამ ინტერესთა შორის ბალანსი და პროპორციულობა განაპირობებს და არეგულირებს აქტორების საქმიანობის ზეგავლენის დონეს. ამასთან, თუკი არსებული სისტემა დაუბალანსებელი ან მკვეთრად ასიმეტრიულია - კმაყოფილდება მხოლოდ გარკვეული ინტერესები, სუსტდება უკუგებისა და ინტერაქციის მექანიზმები და, საერთო ჯამში, ზიანი ადგება როგორც დემოკრატიას, ასევე ჯანსაღ ეკონომიკურ კონკურენციას (Blazek & Hample M 2009). ცნობილია, რომ ამ უკანასკნელისგან თავის არიდებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონული განვითარების პროცესში სამოქალაქო აქტორების ჩართულობას. ჩართულობა, როგორც არაეკონომიკური ფაქტორი, ერთი მხრივ, უშუალო დადებით ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებზე, ხოლო მეორე მხრივ კი თავად ეკონომიკურ ზრდაზე. ამასთან, ითვლება, რომ არ არსებობს იდეალური პოლიტიკა და მისი საუკეთესო ვერსია და შედეგები გამომდინარეობენ დაინტერესებულ მხარეთა შორის მიღწეული კომპრომისისგან (Dawes et al n/d).

რეგიონული პოლიტიკის პროცესმა შესაძლებელია მიიღოს მრავალი ფორმა, სადაც განსხვავებულია დაინტერესებული მხარეების პროცესისადმი ხელმისაწვდომობა და მონაწილეობის/ჩართულობის ან კონტრიბუციის შესაბამისად მიღწეული უპირატესობა (Dawes et al n/d). გამომდინარე აქედან, რეგიონული პოლიტიკის პროცესში დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებისთვის საჭიროა, ერთი მხრივ, შესაბამისი სამთავრობო რეგულაციების შემუშავება და განხორციელება, ხოლო მეორე მხრივ, ამ რეგულაციების შემუშავებასა და განხორციელების პროცესში შესაბამისი სეგმენტის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. რეგიონული განვითარების დაინტერესებული მხარეები განისაზღვრებიან რამდენიმე ძირითადი კატეგორიით: ხელისუფლება (ცენტრალური და ადგილობრივი) და პროფესიული და ინტერესთა ჯგუფები, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეებზე.

საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებულია არაერთი პოლიტიკის დოკუმენტი, კანონმდებლობა, სტრატეგიების და სხვ., რაც უშუალოდ მიზნად ისახავს რეგიონულ განვითარებას, ან ზეგავლენას ახდენს რეგიონულ განვითარებაზე. ამასთან, საქართველოში სამოქალაქო აქტორების რეგიონული პოლიტიკის პროცესში ჩართულობაზე ზემოქმედი სამართლებრივი გარემო მოიცავს როგორც ადგილობრივ კანონმდებლობას, სამართლებრივ აქტებს, დადგენილებებს, განკარგულებებსა და მთავრობის მიერ დამტკიცებულ სტრატეგიებს, ასევე საერთაშორისო შეთანხმებებს. მეორე მხრივ, ტრადიციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად, რეგიონული განვითარების პრობლემების კომპლექსურობას, ასევე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დეკლარირებულ დეცენტრალიზაციის პროცესს ზეგავლენა უნდა მოეხდინა სამოქალაქო აქტორების საქმიანობის არეალის გაფართოებაზე რეგიონული პოლიტიკის დემოკრატიზაციის მიმართულებით. ამ პროცესში სამოქალაქო აქტორებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, მონაწილეობდნენ არა როგორც პოლიტიკის „სამიზნეები“, არამედ „აგენტები“ (Holmes 2011). მათ უნდა მიუწვდებოდეთ ხელი რეგიონულ განვითარებაზე მიმართული პოლიტიკის ხარისხის, შესაბამისობისა და მიზნობრიობის გაუმჯობესებაზე, როგორც ექსპერტული რჩევისა და კონტრიბუციის, ასევე ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით.

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავდა შეესწავლა და გაეანალიზებინა სამოქალაქო აქტორების ჩართულობისა და მონაწილეობის პრაქტიკა რეგიონული განვითარების პოლიტიკის პროცესში. რეგიონული განვითარების პოლიტიკა მოიაზრება, როგორც საქართველოს საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების (სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ჩათვლით) შემუშავება და განხორციელება, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეებზე და სექტორული მიმართულებებით, რომელნიც მიზნად ისახავენ რეგიონების უთანასწორობის შემცირებას, კონკურენტუნარიანობის ზრდას და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ამასთან, სამოქალაქო აქტორებად მოიაზრებიან ბიზნეს საზოგადოება, ადგილობრივი უნივერსიტეტები, ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოების

ორგანიზაციები. ჩართულობა და მონაწილეობა კი გულისხმობს საჯარო პოლიტიკის პროცესში სამოქალაქო აქტორების ყველა დონეზე სინერგიას.

კვლევა ასევე ასახავს რეგიონული განვითარების პოლიტიკაში სამოქალაქო აქტორების მონაწილეობის კუთხით ევროპის გამოცდილების მაგალითებს. ამ მიზნისთვის შეირჩა ქვეყნები, რომლებიც მიეკუთვნება როგორც განვითარებულ (გერმანია), ასევე განვითარებად, ახალ დემოკრატიებს (პოლონეთი, რუმინეთი). განხილულია ასევე იტალიის მაგალითი, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ რეგიონულ პროექტებში სამოქალაქო სექტორის ჩართულობაზეა გამახვილებული და სადაც გარე აქტორების ჩართულობა სახელმწიფოს მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესში პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვან და აპრობირებულ პრაქტიკას წარმოადგენს.

ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობითა და ქართული კონტექსტის გათვალისწინებით, კვლევა სვამს რეკომენდაციებს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ეფექტურობას.

2. მეთოდოლოგია

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, სამოქალაქო აქტორების რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელების პროცესში მონაწილეობის ჭრილში დამუშავებულ იქნა საქართველოს რეგიონულ განვითარებაზე ზეგავლენის მქონე 30-მდე დოკუმენტი, მათ შორის, პოლიტიკის დოკუმენტები, კანონმდებლობა, ანგარიშები და სხვა. დოკუმენტების ანალიზის შედეგად გამოვლინდა სამოქალაქო აქტორების მონაწილეობის განმსაზღვრელი, ხელშემწყობი ან ხელის შემშლელი ფაქტორები და მიმართულებები. კვლევის ცალკე კომპონენტად შესწავლილ და დამუშავებულ იქნა ანალიტიკური და პრაქტიკული ლიტერატურა, რაც ასახავს რეგიონული განვითარების დაინტერესებული მხარეების (ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორი და უნივერსიტეტები) რეგიონული პოლიტიკის პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის გავრცელებულ ფორმებსა და მექანიზმებს. არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, შემუშავდა კვლევის თეორიული ჩარჩო და განისაზღვრა ჩართულობისა და მონაწილეობის პრაქტიკის ძირითადი მახასიათებლები.

ამასთან, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შეირჩა ევროპის ოთხი ქვეყანა (გერმანია, პოლონეთი, რუმინეთი და იტალია), სადაც მიმოვიხილეთ ჩართულობის შემთხვევები კონკრეტული სიტუაციური ანალიზის საფუძველზე. მიმოხილვის დროს ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე ფაქტორზე:

- სამოქალაქო აქტორების პოლიტიკურ პროცესში ჩართულობის საკანონმდებლო რეგულირების არსებობა/არარსებობა, სადაც განიხილება როგორც ეროვნული

კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევებში დარგობრივი პოლიტიკის პროცესებში ჩართულობას განსაზღვრავს

- სამოქალაქო აქტორებიდან გამოიყოფა არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნეს ერთეულებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი
- მონაწილეობის პროცესის ინიციატორი მხარე, ხარისხი და ინტენსიურობა, ჩართულობის ფორმა და შესაბამისობა პოლიტიკური პროცესის ეტაპებთან

რეგიონული პოლიტიკის აქტორებისა და დაინტერესებული მხარეების პოლიტიკის პროცესში მონაწილეობის ფორმებისა და ინტენსიურობის დადგენის მიზნით, კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა 24 რესპონდენტი, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისა და მათი საუწყებო ერთეულების, არასამთავრობო სექტორის, ბიზნეს ასოციაციების, ეროვნული პროექტების ბენეფიციარების, ქართული მცირე და საშუალო ბიზნესის, ასევე რეგიონული უნივერსიტეტების წარმომადგენლები და გაანალიზებული იქნა მათი მონაწილეობა საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითადი მიზნების განხორციელების პროცესში, ასევე, მათი აქტივობით მიღებული შედეგების ზეგავლენა რეგიონალური განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე. ამასთან მიმართებაში რეგიონული პოლიტიკის ციკლი განისაზღვრა, როგორც პოლიტიკის ფორმირება, განხორციელება და შეფასება, ხოლო აქტორების მონაწილეობა შეფასდა თეორიული ჩარჩოს შემუშავების პროცესში გამოვლენილი „შედეგების კატეგორიების“ (outcome-based categories) კომპონენტებსა და მექანიზმებზე დაყრდნობით.

3. რეგიონული განვითარების აქტორების ჩართულობის უზრუნველყოფის ფორმები და მექანიზმები

რეგიონული განვითარების აქტორების ჩართულობის უზრუნველსაყოფად ცნობილია ფორმები და მექანიზმები, რომელნიც გამომდინარეობენ მათი საზოგადო ფუნქციებიდან. წარმოდგენილი ფორმები და მექანიზმები აჯამებენ აქტორების ჩართულობის უზრუნველყოფის საყოველთაოდ მიღებულ ფორმებსა და მექანიზმებს და ქმნიან საბაზისო კატეგორიებს საქართველოს მაგალითზე მოცემული აქტორების ჩართულობის შესაფასებლად.

ხელისუფლება

პოლიტიკის პროცესის ყველა ეტაპზე პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა გადაწყვიტონ, როდის და რა ფორმით ჩართონ დაინტერესებული მხარეები და რა მექანიზმები გამოიყენონ მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად (NCJP n/d). დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად ცნობილია მექანიზმები, რომელნიც ჯგუფდებიან რამდენიმე ძირითად კატეგორიად, კერძოდ: ა) დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება; ბ) პოლიტიკის დიალოგი; გ) დაინტერესებული მხარეების უკუგება და დ) დაინტერესებულ მხარეებზე

პოლიტიკის მონიტორინგის უფლებამოსილების დელეგირება (WB 2012, Dawes et al n/d, Freeman, 2001).

დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და ანალიზი წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამ უკანასკნელთა ჩართულობის საწყის ეტაპს (Freeman, 2001). ეს პროცესი ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეთა გამიჯვნას არადაინტერესებული მხარეებისგან და იმ სეგმენტების გამოვლენას, რომლებიც ჩართულნი უნდა იყვნენ პოლიტიკის პროცესის (ციკლის) განსხვავებულ ეტაპებზე. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი ასევე ხელს უწყობს აქტორების ქცევის, განზრახვის, ურთიერთდამოკიდებულებისა და ინტერესების გააზრებას, ასევე პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მათი გავლენისა და რესურსების შეფასებას (Varvasovszky & Brugha, 2000 ციტ. Dawes et al). დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი, ჩვეულებრივ, ხუთი ძირითადი ნაბიჯისგან შედგება (Kennon, Howden, & Hartley, 2009 ციტ Dawes et al n/d): 1) დაინტერესებულ მხარეთა კატეგორიზაცია, აღწერა და პოლიტიკის პროცესში მათი როლის იდენტიფიცირება; 2) მხარეთა რანჟირება, პოლიტიკის პროცესში მათი ფუნქციებისა და მნიშვნელობის მიხედვით; 3) დაინტერესებულ მხარეთა განწყობებისა და რისკ-ფაქტორების შეფასება, რაც უკავშირდება პოლიტიკის პროცესში მათ ჩართულობას; 4) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მიზნების დასახვა და ღირებულების დადგენა და 5) ამ პროცესის 1-4 ნაბიჯების რეგულარული განახლება, ახალი პოტენციური მხარეების ჩართულობისა და განწყობების ცვლილების გათვალისწინების მიზნით.

დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან მოიცავს კონსულტაციებსა და თანამშრომლობას, ასევე პოლიტიკის წინადადების შექმნის, განხილვისა და მიღების პროცესში კოალიციების შექმნას, სტრატეგიული ინტერვენციებისთვის იდეების გენერირებისთვის. შესაბამისად, პოლიტიკის პროცესში დიალოგი იძლევა დაინტერესებულ მხარეებთან სტრუქტურირებული ინტერაქციის საშუალებას. კერძოდ:

- კონსტრუქციული და სრულფასოვანი კონსულტაციები ხელს უწყობს პოლიტიკის დიზაინის, განხორციელებისა და მდგრადობის გაუმჯობესებას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფებთან კონსულტაციების გამართვა, რაც აუმჯობესებს რისკ-მენეჯმენტს, გამჭვირვალობასა და დაინტერესებულ მხარეების მიერ პოლიტიკის საკითხის აღიარებას. კონსულტაციების მეთოდები მოიცავს საჯარო მოსმენებსა და შეხვედრებს, ფოკუს ჯგუფებს, სოციოლოგიურ კვლევებსა და გამოკითხვებს, ელექტრონულ კონსულტაციებს, მრჩეველთა/ექსპერტთა ჯგუფებთან კონსულტაციებსა და სხვა. ამასთან, კონსულტაციებმა შეიძლება მოიცვა ადგილობრივ დონეზე ფორმალური და არაფორმალური სათათბირო ორგანოები, როგორიცაა სოფლის საბჭო ან სხვა.
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან ინსტიტუციური თანამშრომლობის შედეგად, პოლიტიკის გადაწყვეტილებები მეტად ასახავენ ამ უკანასკნელების საჭიროებებს. ამასთან, დაინტერესებულ მხარეებს ექმნებათ

„საკუთრების“ განწყობა, რაც აუმჯობესებს პროგრამისა და პროექტის შედეგების მდგრადობას. თანამშრომლობის მექანიზმები მოიცავს ინსტიტუციურად დაფუძნებული მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოების ფუნქციონირებას, თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმების გაფორმებასა და გააქტიურებას, მონაწილეობით დაგეგმვასა და ბიუჯეტირებას და სხვა.

დაინტერესებული მხარეების უკუგება გულისხმობს დაინტერესებული მხარეებისგან ინფორმაციის შეგროვებას, აღწერასა და ანგარიშგებას. დაინტერესებული მხარეების უკუგების შეგროვება ხდება პერიოდულად, გამომდინარე საჯარო პოლიტიკის ფარგლებში გაწეული მომსახურებიდან და მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა გაწეული მომსახურების ეფექტურობა, ინტეგრირებულობა, მომსახურებისა და ჩართულობის ხარისხი, დროულობა, ხარჯი, მიზნობრიობა, რესურსების გამოყენება და სხვა. უკუგების მექანიზმები მოიცავს კმაყოფილების კვლევებს, ფოკუს ჯგუფებს, ცხელ ხაზს, „შეფასების სათემო ბარათებს“, ან SMS/ინტერნეტ უკუგების მექანიზმებსა და სხვა. უკუგების მექანიზმია ასევე „საჩივრების განხილვის“ პროცედურა, რაც გულისხმობს დაინტერესებულ მხარეთათვის მარტივი და ხელმისაწვდომი მექანიზმის არსებობას საჩივრების ან დავების წარმართვისთვის (სასამართლო სისტემის მიღმა). ამ ტიპის მექანიზმები მოიცავს საჩივრების წაყენების მრავალმხრივ არხებს, როგორიცაა საჩივართა და პასუხთა რეესტრი, მედიაციის სამსახური, დამოუკიდებელი მონიტორინგი და სხვა.

დაინტერესებულ მხარეებზე მონიტორინგის **დელეგირებული უფლებამოსილება** გულისხმობს პოლიტიკის პროცესის საჯარო მომსახურების, შემოსავლების, საბიუჯეტო ხარჯების, შესყიდვების, კონტრაქტებისა და სხვა ეტაპებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას. მონიტორინგის პროცესში ჩართულობა აუმჯობესებს გამჭვირვალობას, მომსახურებისა და საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიანობას და ამცირებს კორუფციის რისკებს. მონიტორინგის მექანიზმები მოიცავს საჯარო ხარჯების „სათვალთვალო“ სისტემებს, სოციალურ აუდიტს, მოქალაქეთა საანგარიშო ბარათებსა და სხვა. მონიტორინგის მექანიზმად ასევე განიხილება ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან, თემებთან, აკადემიურ წრეებთან/უნივერსიტეტებთან ან ანალიტიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა კონკრეტული პოლიტიკის შედეგების მონაცემების შეგროვების, ასევე ერთობლივი შეფასების ჩატარების კუთხით.

ბოლო წლებში, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, “ღია მმართველობის პარტნიორობის[1]“ მექანიზმები აღიარებულ იქნა მმართველობის

[1] პრინციპი გულისხმობს, რომ ხელისუფლება უნდა იყოს ღია საზოგადოების მხრიდან კონტროლისადმი და ახდენდეს რეაგირებას საზოგადოების აზრზე, რაც, ჩვეულებრივ, აისახება ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობაში და e-მმართველობის ინიციატივებში

გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი სექტორის ჩართულობის გაუმჯობესების ქმედით მექანიზმად. შესაბამისად, ტრადიციულ თათბირობითი და თანამშრომლობითი მექანიზმების პარალელურად, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტად ითვლება სახელმწიფოს მხრიდან **ელექტრონული საშუალებების დანერგვა და გამოყენება.** იგულისხმება, რომ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება აუმჯობესებს მონაწილეობითი პროცესის გამჭვირვალობას, ინკლუზიურობას, მასშტაბურობასა და ეკონომიურობას. ამასთან, განიხილება ელექტრონული ტექნოლოგიების ორმხრივი პერსპექტივა, როგორიცაა ა) ტექნოლოგიის დადებითი ზეგავლენა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობაზე და ბ) ე.წ. „ციფრული ჩართულობის" ინიციატივების ზეგავლენა საჯარო პოლიტიკასა და მომსახურების მოწოდებაზე.

კერძო სექტორი

ჩვეულებრივ, ხელისუფლება აწესებს მრავალ კანონსა და რეგულაციას ბიზნესის სახელმძღვანელოდ, შესაბამისად, ბიზნესი ცვლის საკუთარ ოპერაციებს ხელისუფლების წესებისა და რეგულაციების შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა და საბაზრო რეგულაციები ზეგავლენას ახდენს ბიზნესის კონკურენტუნარიანობასა და მოგებაზე, ბიზნესები არა მხოლოდ რეაგირებენ პოლიტიკაზე, არამედ ჩართულნი არიან პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში (Dua et al, 2010). პოლიტიკის პროცესში კერძო სექტორის ჩართულობა დაკავშირებულია განხორციელებული პოლიტიკის შედეგების ურთიერთსარგებელთან და, შესაბამისად, გაზიარებულ რისკებთან.

პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულობა ორი ტიპისაა: „საჯარო-კერძო პარტნიორობა" (Public-Private Partnership, PPP) და „კერძო სექტორის მონაწილეობა" (Private Sector Participation, PSP).

საჯარო-კერძო პარტნიორობა (PPP) სახელისუფლებო უწყებასა და კერძო კომპანიას შორის უმეტესწილად გამოიყენება მსხვილმასშტაბიანი სახელმწიფო პროექტების (საჯარო სატრანსპორტო ქსელი, ინფრასტრუქტურული პროექტები და სხვა) დასაფინანსებლად და განსახორციელებლად. კერძო სექტორის დაინტერესება გულისხმობს პროექტის დასრულების შემდეგ საოპერაციო მოგებას და ითვლება, რომ ამ ტიპის პროექტები დროში უფრო სწრაფად და უფრო ეფექტურად ხორციელდება. საჯარო-კერძო პარტნიორობის საკონტრაქტო პერიოდი, ჩვეულებრივ, ხანგრძლივია (20-30 და მეტი წელი). პროექტის დაფინანსება ნაწილობრივ მოდის კერძო სექტორიდან, თუმცა ხშირად საჭიროებს ასევე საჯარო სექტორის ან/და მომხმარებლის გადასახადებს პროექტის სიცოცხლის მანძილზე. კერძო პარტნიორი მონაწილეობას იღებს საჯარო პროექტის შემუშავებაში, დასრულებაში, განხორციელებასა და დაფინანსებაში, ხოლო სახელმწიფო უწყება ფოკუსირებას ახდენს პროექტის მიზნების შესაბამისობასა და მონიტორინგზე (Investopedia n/d).

კერძო სექტორის მონაწილეობა (PSP) საჯარო პოლიტიკის პროცესში, ჩვეულებრივ, არ განსხვავდება იმ ტაქტიკისგან, რომელსაც იყენებენ მთავრობის „გარე“ პირები და მოიცავს ლობირებას, ადვოკატირებას, მხარდამჭერებისა და ოპონენტების განათლებას, კონკრეტული საკითხის ირგვლივ მხარდამჭერების მობილიზაციას და სხვა. როცა ბიზნესი განიხილავს, რომელ პოლიტიკას დაუჭიროს მხარი, საკითხი, ბუნებრივია, გამომდინარეობს მისი ინტერესიდან, მიიღოს მეტი მოგება. განხილვის საგანი ხდება ასევე პოლიტიკის პოლიტიკური რენტაბელურობა, დაუჭერენ თუ არა მხარს პოლიტიკას სხვები, და რამდენად ეფექტური და ეფექტიანი იქნება პოლიტიკა დასახული მიზნების მისაღწევად. კიდევ ერთი გარემოება, რასაც განიხილავს ბიზნესი, არის რამდენად სამართლიანია პოლიტიკა, რაც გულისხმობს პოლიტიკის ღირებულებისა და ასევე სარგებლის თანაბარ გადანაწილებას (ამ შემთხვევაში ბიზნესებს შორის). ამასთან, მიუხედავად საყოველთაოდ აღიარებული აზრისა, რომ ბიზნესს უსაზღვრო ზეგავლენა აქვს ხელისუფლებაზე და, შესაბამისად, საჯარო პოლიტიკაზე, სინამდვილეში, ბიზნესი მხოლოდ ცალკეულ და ბიზნესისთვის გადამწყვეტ შემთხვევებში ცდილობს ზეგავლენის მოხდენას საჯარო პოლიტიკაზე. ამასთან, თუკი ბიზნესი გადაწყვეტს ამას, ჩართულობას დიდი ზეგავლენა აქვს მოსახლეობაზე (Kamieniecki 2010).

პოლიტიკის პროცესში კერძო სექტორს წარმოადგენენ როგორც ცალკეული კომპანიები, ასევე მათი წარმომადგენელი ინტერესთა ჯგუფები, როგორიცაა ბიზნეს და სავაჭრო ასოციაციები, პროფესიული ორგანიზაციები და ლობისტური ორგანიზაციები. McKinsey Global Survey (2010) აყალიბებს პოლიტიკის პროცესში ინდივიდუალური ბიზნესების ჩართულობის ძირითად მექანიზმებს, როგორიცაა პოლიტიკის საკითხების კომპანიის დღის წესრიგში არსებობა და ინფორმაციის შეგროვება, ხელისუფლების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური საქმიანობის გააზრება, კომპანიის ხელმძღვანელის საჭირბოროტო საკითხებზე სპიკერად გამოყენება, ხელისუფლების ძირითად აქტორებთან ნდობით აღჭურვილი ურთიერთობის დამყარება, ყველა სხვა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, საჯარო პოლიტიკის ზეგავლენის შესახებ კვალიფიციური მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება და ხელისუფლებასთან გაზიარება და სხვა. ინტერესთა ჯგუფები, თავის მხრივ, მოქმედებენ კოლექტიურად, რათა საჯარო პოლიტიკა მაქსიმალურად აკმაყოფილებდეს როგორც ზოგადად ბიზნეს ინტერესებს, ასევე სპეციფიკური ინდუსტრიის ან ადგილმდებარეობის ინტერესებს.

პოლიტიკის პროცესში ბიზნესისა და ხელისუფლების ინტერაქციის უნივერსალური მოდელი არ არსებობს და განსხვავდება კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური და ინსტიტუციური კონტექსტიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, პოლიტიკის პროცესში ბიზნესის ჩართულობის სიმძლავრე ყველა შემთხვევაში დამოკიდებულია პრობლემური ზონების იდენტიფიცირებაზე. პრობლემის იდენტიფიცირებას კი, თავის მხრივ, ესაჭიროება პოლიტიკის ანალიზი, მონიტორინგი და შეფასება, ხელისუფლებასთან კონტაქტების დამყარება, ინტელექტუალური კონტრიბუცია (პოლიტიკის შეთავაზება), ხელისუფლებასთან ინსტიტუციურ სათათბირო ორგანოებში გაერთიანება, საინფორმაციო ინიციატივების

წამოწყება, ბიზნეს ადვოკატირებისა და სხვა ინტერესთა ჯგუფებთან, ასევე აკადემიურ და კვლევით ინსტიტუციებთან თანამშროლობა და სხვა (International Trade Center 2002). ცნობილია ასევე პოლიტიკის პროცესში არაპირდაპირი მონაწილეობა, როგორიცაა რაიმე პოლიტიკის მისაღებად ან საწინააღმდეგოდ პროტესტებსა და დემონსტრაციებში ჩართვა, მედია კამპანიების წამოწყება, საზოგადოებრივი აზრის მობილიზება და სხვა (Victor 2007, Mahoney 2007, ციტ. Macedo de Jesus n/d).

საყოველთაოდაა აღიარებული რეგიონული პოლიტიკის განხორციელების (პროექტები და პროგრამები) პროცესში ადგილობრივი თემების განვითარებაში კორპორატიული სექტორის მნიშვნელობა. ამ კუთხით, კერძო სექტორის მონაწილეობის ფორმები მოიცავს საკუთრებაში არსებული ქონების გამოყენებას რეგიონული პოლიტიკის/პროექტის მიზნებისთვის, კაპიტალურ ინვესტიციას, მომსახურების კონტრაქტს, საიჯარო ხელშეკრულებებს[2] , „ააშენე-გადაეცი-ამუშავე"(Build-Transfer-Operate, BTO) პროექტებს[3], საპრივატიზაციო პროექტებს[4] და სხვა. ყველა ჩამოთვლილი შემთხვევა მოითხოვს ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის უფლებებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას, თანამშრომლობის ვადების, რისკებისა და ფინანსური მოგების განაწილების ჩათვლით.

აკადემიური წრეები/უნივერსიტეტები

განვითარებულ ქვეყნებში უნივერსიტეტი (და მთლიანობაში უმაღლესი განათლება) აღქმულია ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნისა და შენარჩუნების საკვანძო ელემენტად (Longanecker 2005, ციტ. Franklin 2009). ამასთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, ის ინსტიტუციები, რომელნიც პირდაპირ ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ვალდებულნი არიან არა მარტო ფართოდ უპასუხონ ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებებს, არამედ უზრუნველყონ მოქალაქეებისა და თემების საჭიროებების ასახვა მოცემული ქვეყნის საჯარო პოლიტიკაში (Franklin 2009). უნივერსიტეტებში არსებული დარგობრივი ცოდნის ფართო სპექტრზე დაყრდნობით, საჯარო პოლიტიკის პროცესში აკადემიური ჩართულობა მრავალი ფორმისაა. ე.წ. აკადემიის ჩართულობა პოლიტიკის პროცესში მნიშვნელოვანია ინფორმირებული, ხარისხიანი და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის უზრუნველყოფისთვის (The Council for Science and Technology 2008). აკადემიას შეუძლია ჩაერთოს პოლიტიკის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე და შეიტანოს წვლილი როგორც პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში, ასევე შეფასებაში (მონაცემებისა და

---

[2] კერძო ბიზნეს ორგანიზაცია ამუშავებს დაწესებულებას, რომელიც აშენდა საჯარო უწყების მიერ (ან მისი სახელით) ან საჯარო ფინანსებით (Schramm 2006). მსგავსი კონტრაქტი, როგორც წესი, გამოიყენება საჯარო კერძო პარტნიორობის პროექტებში.

[3] BTO პროექტის შემთხვევაში, საჯარო უწყების მიერ შერჩეული კერძო ოპერატორი აფინანსებს და აშენებს-ნერგავს რაიმე შენობას ან სისტემას და გადასცემს ხალხს. კერძო ოპერატორს აქვს უფლება ამუშაოს დაწესებულება-სისტემა დროის ლიმიტირებული ვადით (Schramm 2006).

[4] ქონება გადაეცემა კერძო პირს, თუმცა თავად მომსახურება ნარჩუნდება საჯარო მომსახურებად (მაგ. მოსახლეობის წყლის მიწოდება) (Schramm 2006).

მტკიცებულებების მიწოდება და ანალიზი, ალტერნატიული პოლიტიკის შეთავაზება, ექსპერტული აზრი და დასკვნა და სხვა). ამასთან, უნივერსიტეტების ჩართულობის უზრუნველყოფა შესაძლებელია სხვადასხვა არხების საშულებით, როგორიცაა პერსონალური კონტრაქტები, კვლევითი და მრჩეველთა საბჭოები, კონსულტაციები და სხვა.

ლუნდის უნივერსიტეტი აყალიბებს რეგიონული განვითარების კონტექსტში უნივერსიტეტების კონცეპტუალურ მოდელებს, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა სარგებლის მიღება შეუძლიათ რეგიონებს უნივერსიტეტების სხვადასხვა საქმიანობიდან და რა როლი აქვთ საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტებს (მოთხოვნები და სტიმულირება) ამგვარი საქმიანობის ხელშესაწყობად. რეგიონული ეკონომიკისა და სოციალური განვითარების უნივერსიტეტების კონცეპტუალური მოდელები მოიცავს ა) სამეწარმეო უნივერსიტეტის მოდელს (entrepreneurial university model), ბ) რეგიონული ინოვაციების სისტემის მოდელს (RIS University Model), გ) თანამშრომლობითი უნივერსიტეტის მოდელს (mode 2)[5] და დ) ჩართული უნივერსიტეტის მოდელს (engaged university model). ეს ოთხი მოდელი ასახავს განსხვავებულ აქტივობებს და ზეგავლენას, როგორც რეგიონებისთვის სარგებლის, ასევე პოლიტიკის ზეგავლენის კუთხით (Trippl et al 2014).

სამეწარმეო მოდელის უნივერსიტეტები ტრადიციულ მისიას (სწავლება და კვლევა) ამდიდრებენ ეკონომიკური განვითარებით და წვლილი შეაქვთ რეგიონულ კეთილდღეობაში საკუთარი ცოდნის კომერციონალიზაციით (ცოდნის ფორმალური და არაფორმალური გაზიარება, ახალგაზრდა ტალანტების მოზიდვა, პროდუქტზე ან მომსახურებაზე ორიენტირებულ კვლევას და სხვა) (Grimaldi et al 2011, ციტ. Trippl et al 2014). ამ ტიპის საქმიანობა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან სტიმულირებისა და პრემიის ახალ სისტემას უნივერსიტეტის მეცნიერებისთვის, უნივერსიტეტის შიგნით ბიზნეს კულტურის წამოწევას და ტექნოლოგიების გადამცემი შუამავალი ინსტიტუციების (ოფისების) შექმნას (Feldman 2003).

რეგიონული ინოვაციების სისტემის მიდგომა ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ფუნდამენტურ როლს ინტერაქტიული ინოვაციების პროცესში. ამასთან მიმართებაში, უნივერსიტეტი წარმოადგენს ცოდნის მნიშვნელოვან შემქმნელს, რომელსაც აქვს საშუალება, დააკავშიროს ეს ცოდნა რეგიონულ დონეზე განხორციელებად ინოვაციური პროდუქტის წარმოებასთან (თანამშრომლობა კვლევისა და განვითარებისთვის, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მივლინება რეგიონულ შრომის ბაზარზე, ცოდნის გადაცემა რეგიონული მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და სხვა). ამ მოდელის გააქტიურებისთვის საკმარისი არაა მხოლოდ უნივერსიტეტის შიდა სტრატეგიის დახვეწა, არამედ მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთან თანამშრომლობით, კონკრეტული რეგიონის ინოვაციების შეთვისების უნარების დადგენა.

---

[5] Mode 1- მოდელი გულისხმობს უნივერსიტეტის კვლევის ტრადიციულ სწორხაზოვან და დისციპლინარულ ფორმას, ხოლო mode 2- კვლევის პროცესში სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას

თანამშრომლობითი უნივერსიტეტის მოდელი გულისხმობს ცოდნის შექმნას ტრანსდისციპლინარულად, მრავალმხრივად, ახალი ტიპის მეცნიერული მმართველობისა და ხარისხის შეფასების პრაქტიკული გამოყენებისთვის (ინდუსტრიული, პოლიტიკური და სოციალური საკითხები, ურბანული დაგეგმარება, ტრანსპორტი, ჯანდაცვა და სხვა) (Gibbons et al. 1994, ციტ. Trippl 2014). მოდელის მიხედვით, კვლევის პროცესში უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვა ორგანიზაციებთან (მათ შორის, ხელისუფლებასთან), რაც იწვევს გარემოსთან უკეთეს შესაბამისობას, აუმჯობესებს ანგარიშვალდებულებას, გამჭვირვალობას და აკადემიური წრეების მიღმა უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის აღიარებას. შესაბამისად, საზოგადოებისგან „მოწყვეტილობის" ნაცვლად, უნივერსიტეტები აღიქმებიან სოციალური პრობლემების მოგვარების თანამონაწილეებად (Nowotny et al 2001, ციტ. Trippl 2014).

ჩართული უნივერსიტეტის მოდელის კონცეფციის მიხედვით, უნივერსიტეტის ფუნქცია გააზრებულია და ადაპტირებულია რეგიონულ საჭიროებებზე მორგებით (Uyarra, 2010 ციტ. Trippl 2014). ამ ტიპის უნივერსიტეტის როლი არა ცოდნის გენერირება, არამედ ადგილობრივი განვითარებაა. იგი ფოკუსირდება ინდუსტრიასა და საზოგადოებაზე და აღიქმება, როგორც რეგიონული იდენტობის შემქმნელი (Breznitz and Feldman 2012, ციტ.Trippl 2014). უნივერსიტეტის ჩართულობამ შეიძლება მიიღოს მრავალი ფორმა, როგორებიცაა სწავლების მორგება რეგიონულ საჭიროებებზე (რეგიონზე ფოკუსირებული პროგრამების საშუალებით), ადგილობრივი სტუდენტების დასაქმება, რეგიონული საჭიროებების უნივერსიტეტის პრიორიტეტებში ფორმალური ინტეგრირება, რეგიონული ქსელების კოორდინაცია და პოლიტიკის რჩევა. ამასთან, ჩართული უნივერსიტეტი უშუალოდ თანამშრომლობს ადგილობრივ ბიზნესთან, ეხმარება კვლევითა და ექსპერტიზით.

არასამთავრობო ორგანიზაციები

პოლიტიკის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა აღიარებულია დემოკრატიის საკვანძო პირობად. მონაწილეობითი და თათბირობითი დემოკრატიის აპოლოგეტები ამტკიცებენ, რომ ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ დონეზე მონაწილეობას, ხელისუფლების გადაწყვეტილებებისა და შესაბამისი საქმიანობის მეტი ლეგიტიმურობისთვის. ამასთან, გარკვეული ანალიტიკოსები ხაზს უსვამენ მონაწილეობის ნეგატიურ ასპექტებს და მიაჩნიათ, რომ მასიური მონაწილეობა საკმაო საფრთხეების შემცველია, რადგან მეტად დაბალი სოციალურ-ეკონომიკური კლასის პოლიტიკის პროცესში ჩართულობამ შესაძლებელია მოიტანოს მეტად ავტორიტარული იდეების წარმოშობა ხელისუფლებაში, რაც გამოიწვევს დემოკრატიის საბაზისო ნორმებიდან გადახვევას (Dahl 1956, ციტ. Michels & De Graaf 2010). ბალანსის შენარჩუნების მიზნით, ბოლო ათწლეულების მანძილზე დასავლეთ ევროპის ქვეყნების ქვეყნებში გამოიკვეთა მონაწილეობის ინსტიტუციური მიდგომები და ფორმები და მოქალაქეებს (მათ შორის ადგილობრივ დონეზე) მიეცათ პოლიტიკაში ჩართულობის ისეთი ბერკეტები, როგორიცაა მონაწილეობრივი

მმართველობა, მოქალაქეთა მრჩეველთა საბჭოები, მონაწილეობითი ბიუჯეტირება და სხვა (Michels & De Graaf 2010).

ცნობილია ასევე, რომ მონაწილეობის ბალანსის დასაცავად, ასევე საზოგადოების ყველა სეგმენტის აზრისა და ინტერესების გასათვალისწინებლად საჯარო პოლიტიკის პროცესში საზოგადოებას წარმოადგენენ ინტერესთა ჯგუფები და ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები. პოლიტიკის პროცესში ამ უკანასკნელების მონაწილეობა გულისხმობს მათი არა პოლიტიკის „სამიზნედ", არამედ „აგენტებად" აღიარებას (Holmes 2011). არასამთავრობო ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, პოლიტიკის მონაწილეობის ბერკეტები ფართო სპექტრისაა და მოიცავს ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარებას, მათ ინფორმირებასა და განათლებას, კვლევას, პოლიტიკის საკითხის ინიცირებას და ალტერნატივების შეთავაზებას, პროგრამებისა და პროექტების მონიტორინგსა და შეფასებას, საჭირბოროტო საკითხების ადვოკატირებას და სხვა.

ერთიანი ან უნივერსალური თეორია მხარეების მდგრადი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად არ არსებობს. არასამთავრობო სექტორისა სახელმწიფო სტრუქტურების კოოპერირებისა და პარტნიორობის კონცეფციები და მოდელები აერთიანებენ მრავალ მიდგომასა და დისციპლინას, სადაც მონაწილეობის მოდელები აღწერენ და ასახავენ თანამშრომლობის საფეხურებს ან ეტაპებს. ეს უკანასკნელები განსხვავდებიან ჩართულობის ხარისხით ან ზეგავლენით. ამ ტიპის კლასიფიკაცია იძლევა საშუალებას, მინიმუმამდე დავიდეს ჩართულობის ამოცანების ბუნდოვანება.

გავრცელებული თეორიების თანახმად, მონაწილეობისა და ჩართულობის ძირითადი ეტაპები მოიცავს: ა) ინფორმირებას, ბ) კონსულტაციებს და გ) აქტიურ მონაწილეობას, სადაც ინფორმირება მონაწილეობის ყველაზე სუსტ ფორმად და აქტიური მონაწილეობა - ყველაზე ქმედით ფორმად ითვლება.

ინფორმირება ცალმხრივი ურთიერთობაა, სადაც ხელისუფლება შეიმუშავებს პოლიტიკას და აწვდის ინფორმაციას მოქალაქეებს ან მათ წარმომადგენლებს (ამ შემთხვევაში არასამთავრობო სექტორს). ეს ფორმა მოიცავს როგორც მოქალაქეთა მოთხოვნით ინფორმაციაზე „პასიურ" ხელმისაწვდომობას, ასევე ხელისუფლების მხრიდან „აქტიურ" ზომებს მოქალაქეთათვის ინფორმაციის მისაწვდომად. ამ მიდგომის მაგალითებია საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, ოფიციალური პრესა, სამთავრობო ვებ-გვერდები და სხვა.

კონსულტაციები წარმოადგენს ორმხრივ ურთიერთობას, სადაც მოქალაქეები საკუთარ აზრს აწვდიან ხელისუფლებას. ეს მიდგომა საჭიროებს ხელისუფლების მხრიდან განხილვის საკითხის წინასწარ განსაზღვრას, კითხვების გამოყოფას და საკონსულტაციო პროცესის წარმართვას. ამასთან, მოქალაქეები ან მათი წარმომადგენლები მოწვეულნი არიან გამოთქვან საკუთარი აზრი და შთაბეჭდილებები. ამ მოდელის მიდგომებია პოლიტიკის დოკუმენტის (კანონპროექტის, სტრატეგიის, პროექტის, გეგმის და სხვ.) კომენტირება, მოქალაქეთა აზრის

კვლევა, გამოკითხვა და სხვა. ამასთან, მიუხედავად ამ ფორმის, პირობითად, „ორმხრივი“ ბუნებისა, „კონსულტაციები“ არ (ან ნაკლებად) გულისხმობს მოსმენილი აზრის/შთაბეჭდილების გათვალისწინებას.

აქტიური მონაწილეობა გულისხმობს ხელისუფლებასთან პარტნიორობას, სადაც მოქალაქეები ან მათი წარმომადგენლები აქტიურად ერთვებიან საჯარო პოლიტიკის როგორც შინაარსის, ასევე პროცესის განსაზღვრაში. ეს მიდგომა აღიარებს ხელისუფლებისა და მოქალაქეების თანაბარ სტატუსს დღის წესრიგის შექმნის, პოლიტიკური ალტერნატივების შეთავაზებისა და პოლიტიკის დიალოგის შექმნის საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებების ან პოლიტიკის ფორმულირების პასუხისმგებლობა ედება ხელისუფლებას. ამ მიდგომის მაგალითებია მოქალაქეთა საბჭოები, მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოები, მრჩეველთა საბჭოები, მოქალაქეთა დამოუკიდებელი მონიტორინგი და სხვა (OECD 2001, ციტ. nonformlity.org 2012). მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის პროცესში მოქალაქეები არა მარტო კონსულტაციის რეჟიმში იმყოფებიან, არამედ მათი აზრი გათვალისწინებულია.

4. საერთაშორისო პრაქტიკა

სამოქალაქო აქტორების ჩართულობის საერთაშორისო პრაქტიკა ძალზე მდიდარია. სამოქალაქო საზოგადოების აქტივობა, წმინდა პოლიტიკური აქტივობის გარდა (რაც, ძირითადად, არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობად მოიაზრება) მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა ჯანდაცვა, სოციალური პოლიტიკა, გარემოს დაცვა. ხშირია სოციალური პარტნიორობის პროექტები, სადაც სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორი წინდაწინვე არსებული შეთანხმების საფუძველზე თანამშრომლობენ. მაღალი ჩართულობა, თავის თანამედროვე, ელექტრონული მონაწილეობის ფორმით, დღეს დემოკრატიის განვითარების მაჩვენებელს წარმოადგენს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული მაგალითების გამოცდილებით სამოქალაქო აქტორების ჩართულობა უფრო მაღალია თვითმმართველობის დონეზე და შედარებით სუსტია ეროვნულ დონეზე. რაც შეეხება დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას რეგიონის პოლიტიკის ფორმირებისა და მონიტორინგის პროცესში, ასეთი მაგალითები იშვიათად გვხვდება და კანონმდებლობაც ამ პროცესს სრულყოფილად არ არეგულირებს. ძირითადად, რეგიონული პოლიტიკის პროცესებში ჩართულობის ინტენსივობას განაპირობებს სფერო და ბენეფიციარებზე პოლიტიკის აშკარა ნეგატიური გავლენა. უფრო ხშირად ეს ეხება გარემოს დაცვის სფეროში განხორციელებულ პროექტებს, სადაც დაგეგმვის ეტაპზე არ ხდება მოსახლეობის სათანადო ინფორმირება და მით უფრო კონსულტირება. ასეთი გადაწყვეტილების მიღება იწვევს ძლიერ საპროტესტო რეაქციას არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რის შედეგადაც ხდება მოსახლეობის, ადგილობრივი მცირე ბიზნესისა და ზოგჯერ საერთაშორისო ორგანიზაციების მობილიზება.

საკანონმდებლო რეგულირება და რეგიონის განვითარების პოლიტიკა

განხილული ქვეყნების შემთხვევაში (გერმანია, პოლონეთი, რუმინეთი, იტალია) სამოქალაქო აქტორების ჩართულობა კანონმდებლობით გათვალისწინებულია, თუმცა იშვიათადაა სრულყოფილად დარეგულირებული თავად მონაწილეობის პროცედურა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონმდებლობა განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აუცილებლობას ადგილობრვი დონეზე. ეროვნულ დონეზე, როგორც წესი, ჩართულობა განსაზღვრულია კონკრეტული პოლიტიკის დოკუმენტით, საერთაშორისო დარგობრივი ხელშეკრულებით (მაგალითად, გარემოს დაცვის სფეროში აარჰუსის კონვენცია[6]) და განვითარებული ელექტრონული მმართველობის შემთხვევაში - ღია მმართველობის პარტნიორობისა და ზოგადად, საჯარო მმართველობის ღიაობისა და ხელმისაწვდომობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო აქტებით.

---

[6]Aarhus Convention on Access to Information, Public Participation in Decision-making and Access to Justice in Environmental Matters

რეგიონული განვითარება რუმინეთში, ძირითადად, ფოკუსირებულია ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებაზე, კერძო ინვესტიციების ზრდაზე და ზოგადად, მოსახელობისათვის ცხოვრების დონის ამაღლებაზე. მნიშვნელოვანი აქცენტი რეგიონულ პოლიტიკაზე გაკეთდა მას შემდეგ, რაც ეს საკითხი ევროკავშირის ძირითად მიზნებში გაიწერა. ამიტომაც რეგიონის კონცეპტუალური აღქმა სწორედ ევროკავშირის ძირითად ფუნქციონალურ პრინცპებზე დაყრდნობით შემუშავდა. უნდა აღინიშნოს, რომ დაყოფა ხდება არა იმდენად ადმინისტრაციული, რამდენადაც ეკონომიკური პრინციპით, რადგანაც დღესდღეობით კონსტიტუცია არ განსაზღვრავს რეგიონს, როგორ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, რეგიონის პოლიტიკა იმდენად მჭიდრო კავშირშია ადგილობრივი განვითარების პოლიტიკასთან, რომ რეგიონს დონეზეც გამოიყენება ჩართულობის და თანამშრომლობის ის მექანიზმები, რომლებიც პრაქტიკულად მუშაობს ადგილობრივ დონეზე და ადგილობრივი კანონმდებლობით რეგულირდება. რეგიონული დაყოფის ერთეულად რუმინეთში მოიაზრება ოლქი (county), რომელიც ხელისუფლების შუალედურ შრეს წარმოადგენს ადგილობრივი მმართველობას (სოფელი, ქალაქი) და ცენტრალურ მმართველობას შორის. კანონი 315/2004 რეგიონის განვითარების შესახებ განსაზღვრავს რეგიონულ ინსტიტუციებს, მიზნებს და ინსტრუმენტებს. გამოიყოფა 8 რეგიონი, თუმცა, კანონი ცალსახად აღნიშნავს, რომ ისინი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს. აღინიშნება ისიც, რომ რეგიონის დონეზე ახლებურად ხდება გააზრება საჯარო და კერძო სექტორს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონული დაყოფა ეკონომიკურ პრინციპს მიყვება, ეკონომიკური განვითარება უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად, ამ პროცესში მთავარი როლი ენიჭება სწორედ ბაზრებისა და კერძო ინსტიტუტების თუ კომპანიების ფაქტორს, ხოლო საჯარო სექტორს მხოლოდ ადმინისტრირების და მხარდაჭერის ფუნქცია აქვს (Apostolachea, 2013).

რუმინეთში სამოქალაქო ჩართულობას რამდენიმე საკანონმდებლო აქტი არეგულირებს. პირველ რიგში აღსანიშნავია რუმინეთის კონსტიტუცია; კანონი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ (24/2000); და მოქალაქეთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების შესახებ (კანონი 189/1999). სამოქალაქო სექტორის მონაწილეობისათვის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა საკანონმდებლო აქტების მიღება, რომლებიც საჯარო სექტორის გამჭვირვალობას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას განსაზღვრავს. ასეთებია 2001 წლის კანონი 544/12 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, ინფორმაციის თავისუფლების აქტი და განსაკუთრებით 2003 წელს მიღებული კანონი საჯარო მმართველობის სფეროში გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობის შესახებ[7] (Europe for Citizens, 2012). ძირითადად, ეროვუნლ დონეზე მონაწილეობის ფორმები მიღებულია საერთაშორისო დოკუმენტებზე დაყრდნობით, როგორებიცაა ევროსაბჭოს Code of

[7]Law on Transaprency of Decision-making in Public Administration, 52/2003

Good Practice for Civil Partcipation და OECD-ს პოლიტიკის დოკუმენტი Engaging Citizens in Policy Making: Information, Consultation and Public Participation. მიუხედავად ამისა, მონაწილეობის ყველაზე მისაღები ფორმა რუმინეთის კანონმდებლობის ფარგლებში არის მოსახლეობის ინფორმირებულობა. თუმცა, საჯარო ინსტიტუტებს აქვთ ვალდებულება, ნებისმიერ საჯარო გადაწყვეტილებაზე 10 დღის განმავლობაში მიიღონ რეკომენდაციები სამოქალაქო მხარეების მხრიდან. მაინც, რეალურად, მოსახლეობის ჩართულობა პოლიტიკის პროცესებში ძალიან დაბალია, რაც უმეტესწილად საჯარო სექტორში ნების სუსტი გამოხატვით აიხსნება.

გერმანიის შემთხვევაში რეგიონული პოლიტიკა ძირითადად მიმართულია სტრუქტურულად შედარებით სუსტი რეგიონების ეკონომიკური მხარდაჭერის განვითარებასა და უსაფრთხო და სტაბილური სამუშაო გარემოს შექმნაზე, მათ შორის, გაერთიანების შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიის შეერთებული რეგიონებისათვის (Bachtler et al, 2014). გერმანიის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ გარდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის პრინციპებისა, რაც საჯარო ადმინისტრირების კანონმდებლობითაა დაცული, ჩართულობა უზრუნველყოფილია უფრო მეტად დარგობრივ საკანონმდებლო აქტებში, როგორებიცაა, მაგალითად, გერმანიის სამშენებლო კანონი (German Building Law of 1976), რომლის მიხედვითაც სავალდებულოა სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოების საკონსულტაციო პროცესში ჩართვა, განსაკუთრებით დეველოპერულ პროექტებთან მიმართებაში (EIPP, 2009); ასევე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფედერალური აქტი (1991 – 2002) და სხვა.

პოლონეთში, აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, რეგიონული პოლიტიკის ფორმირების პირველი ეტაპი ევროკავშირის მოთხოვნებს უკავშირდება და ამიტომ დასაწყისში ფორმალურობითა და პასიურობით ხასიათდება. თუმცა 2010 წლიდან იწყება პოლიტიკის განხორციელების ეფექტური მექანიზმების დანერგვა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს რეგიონული განვითარების ეროვნული სტრატეგია 2010-2010, რომელშიც განსაზღვრულია რეგიონის პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით. პოლიტიკის მიზნებს წარმოადგენს რეგიონებს შორის შეჯიბრებითობის მხარდაჭერა ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად; ტერიტორიული ერთიანობის პრინციპის გატარება პრობლემური ტერიტორიების და სფეროების მარგინალიზაციის თავიდან აცილების მიზნით. ასეთ სფეროებად შეიძლება ჩაითვალოს სოციალური, ეკონომიკური თუ ინსტიტუციური სისუსტეებით გამორჩეული რეგიონები. ამ მიზნის ფარგლებში მთავარი აქცენტი საჯარო სერვისების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე კეთდება; ეფექტური და პარტნიორობაზე დაფუძნებული განვითარების პოლიტიკის შექმნა, რაც უკავშირდება პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ინსტიტუციური და საკანონმდებლო მექანიზმების შექმნასა და ამოქმედებას, მათ შორის, სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობასა და სოციალური აქტივიზმის მხარდაჭერას. საჯარო სექტორში რეგიონულ განვითარებაზე პასუხისმგებელი ძირითადი უწყება არის რეგიონული განვითარების სამინისტრო, რომელიც,

ახალი, გაფართოებული მანდატით (2013), არა მხოლოდ რეგიონის, არამედ ურბანული პოლიტიკის ფორმირებაზეც არის პასუხისმგებელი (Bachtler et al, 2014). უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთში ზოგადად სამოქალაქო აქტივობის ზრდა გამოწვეულია მოსახლეობის დაბალი ნდობით საჯარო ინსტიტუტების მიმართ, თუმცა, ჩართულობის ძირითად მექანიზმებად მოიაზრება არჩევნები და რეფერენდუმები (Europe for Citizens, 2012). უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ძლიერ სტიმული თავად არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის არის საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობა. ცენტრალურ დონეზე, კონსტიტუციის მუხლების გარდა, საჯარო ინსტიტუტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა რეგულირდება აქტით „On Public Benefit Organizations and Voluntary Work“, რომელიც 2003 წელს იყო მიღებული. აქტი თანამშრომლობის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციებს საკანონმდებლო აქტებზე კონსულტირების უფლებამოსილებას აძლევს.

რეგიონულ დონეზე მიღებულია სამი საკანონმდებლო აქტი, რომლებიც ტერიტორიულ მმართველობას ეხება და საჯარო კონსულტაციების ორგანიზების რეგულაციებსა და წესებს განსაზღვრავს.

იტალიაში რეგიონულ პოლიტიკაში აქტიური ჩართულობა იწყება 2001 წლიდან, დეცენტრალიზაციის პროცესის შედეგად, რომელმაც გააძლიერა რეგიონების როლი, კომპეტენცია და უფლებამოსილება კონკრეტულ სფეროებში პოლიტის ფორმირების თვალსაზრისით, მაგალითად: ჯანდაცვა, დასაქმება, ტრანსპორტი და ა.შ. (Casula, 2015). აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით რეგიონულ დონეზე, არასახელმწიფო მხარეების მაღალი ჩართულობა წარსულში პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობიდან მომდინარეობს. ჩვენს მიერ განხილულია ერთ-ერთი კონკრეტული რეგიონი, ემილია-რომანა (Emilia-Romagna), სადაც, ტოსკანასა და უმბრიის მსგავსად, მიღებულია ორგანული კანონი, რომელიც მოქალაქეების მონაწილეობას არეგულირებს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების პროცესში. ჩამოყალიბებულია საკანონმდებლო ინსტიტუციები, რომლებიც უზრუნველყოფს ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე, მოქალაქეთა უფლებების და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპებზე დაყრდნობით და რომლებიც იცავს მოქალაქეთა ამ უფლებას უფრო მეტად, ვიდრე ამას კლასიკური რეპრეზენტატიული დემოკრატია გულისხმობს. 2010 წელს მიღებული ეს კანონი გადაწყვეტილების მიღების რამდენიმე მოდელზე საუბრობს, მათ შორის, მოლაპარაკებებში მონაწილეობასა და დისკუსიებში ჩართულობას, რაც საშუალებას იძლევა, რომ რეგიონული პოლიტიკის არა-სახელმწიფო და სახელმწიფო აქტორები გადაწყვეტილების მიღების დროს რეალურ კონსენსუსამდე მივიდნენ (Law 3/2010, art.10) და დეტალურად განსაზღვრავს ჩართულობისათვის საჭირო ფონდებსა და რესურსებს და ასევე ფორმებს, რომლითაც სამოქალაქო აქტორების ჩართულობა არის შესაძლებელი: ასოციაციები, კომიტეტები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ კანონის მიხედვით გამოიყოფა სპეციალური პირი, რომელიც სახელმწიფოს სახელით ურთიერთობს გარე აქტორებთან - ე.წ. სამოქალაქო

მონაწილეობის სპეციალიტი (Tecnico di Garanzia), რომელსაც საკანონმდებლო ასამბლეის თავმჯდომარე ნიშნავს. ეს პირი და ადგილობრივი აქტორები ქმნიან კომიტეტს, რომელიც უშუალოდ აწარმოებს მოლაპარაკების პროცესს. შედეგად იქმნება პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც, მიუხედავად მისი არასავალდებულო ხასიათისა, გათვალისწინებულ იქნება პოლიტიკის ფორმირების პროცესში. რეგიონულ მთავრობას პროცესის წარმმართველისა და გარანტორის როლი ეკისრება. კანონი მოქალაქეებს აძლევს განსაკუთრებულ შესაძლებლობას, ეკონომიკური ან სოციალური ხასიათის ნებისმიერ საკითხზე, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიას ეხება, პეტიციით მიმართონ რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლებს (Casula, 2015). აღსანიშნავია ისიც, რომ რეგიონულ პოლიტიკაში სამოქალაქო აქტორების ჩართულობის გასაძლიერებლად სპეციალური ფონდებიც არსებობს, რომელთა მეშვეობითაც კონკრეტული პროექტების დაფინანსება ხდება.

სამოქალაქო აქტორები და ჩართულობის ფორმები

რუმინეთი - სიტუაციური ანალიზი ეხება 2010 წლიდან ქალაქ Cluj Napoca-ში მიმდინარე პროცესებს. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, 2010 წლის დეკემბერში მოხდა მოსახლეობის ნაწილის ევაკუაცია ქალაქის ცენტრალური უბნიდან, განაპირა რაიონში, რომლის მახლობლადაც ნაგავსაყრელი იყო განლაგებული. ასეთი დისკრიმინაციული პოლიტიკის განხორციელებამ გამოიწვია არასახელმწიფო სექტორის მობილიზება დასაწყისში საპროტესტო აქციების სახით. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდა რამდენიმე მსხვილი არასამთავრობო ორგანიზაცია და საუნივერსიტეტო წრეების წარმომადგენლები. მოგვიანებით პროცესებმა საერთაშორისო ორგანიზაციების ფართო მხარდაჭერაც მიიღო. მუნიციპალური მთავრობა, რომელიც პროცესის დასაწყისში უარს ამბობდა თანამშრომლობაზე, იძულებული გახდა, დაეწყო თანამშრომლობასამუშაო ჯგუფთან და პრობლემის მოგვარების გზები ერთიანი გადაწყვეტილებით მიღებულიყო (Europe for Citizens, 2012).

ამ შემთხვევაში ყურადსაღებია რამდენიმე ასპექტი:

ჩართულობის ინიცირება მოხდა არა საჯარო სექტორის ნებით. პირიქით, თვითმმართველი ერთეულის მიერ გარე დაინტერესებული მხარეების კონსულტირების გარეშე მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებამ გამოიწვია სამოქალაქო სექტორის მობილიზება. კომუნიკაციის პროცესი მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობდა, რამდენადაც თვითმმართველობა ვერ ხედავდა სამოქალაქო აქტორების ჩართულობის საჭიროებას ვერც პოლიტიკის ინიცირების და ვერც მისი განხორციელების ეტაპებზე. უნდა ითქვას, რომ უშუალოდ მოლაპარაკების დაწყებას წელიწადზე მეტი, ცენტრალური ხელისუფლების და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ჩარევა დასჭირდა.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ რეგიონული უნივერსიტეტის წარმომადგენლები (Babes-Bolyai University), რომელთა ფუნქცია

გასცდა ტრადიციული ინფორმაციის გამავრცელებლის როლს და ექსპერტული ანალიზის და კვლევის ჩატარება იყო არსებულ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტის ჩართულობა, ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც უმეტესწილად, საექსპერტო ანალიზით შემოიფარგლება. პრაქტიკულად, ევროპული ქვეყნების კონტექსტში არ გვხდება ისეთი სიტუაციური ანალიზი, სადაც უნივერსიტეტის, როგორც სოციალური აქტივიზმის გამტარებლის და სამოქალაქო სექტორის სრულფასოვანი წარმომადგენლის როლი იკვეთება.

მდგომარეობის ანალიზი გვაძლევს საშუალებას, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა შევაფასოთ, როგორც განხორციელებული პოლიტიკის შედეგების შეფასება და არსებულ პრობლემებზე რეაგირება, რაც გარკვეულწილად დელეგირებასაც მოიაზრებს. თავად სამოქალაქო აქტორების სტრატეგია შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ურთიერთ-კოლაბორაცია, რაც გულისხმობს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ერთიანი ქოლგა-ასოციაციის შექმნას კონკრეტული მიზნებით, რომელიც უფრო მოქნილ ორგანოს წარმოადგენდა საჯარო სექტორთან ურთიერთობისათვის.

პოლონეთი - განვიხილავთ ორ სიტუაციურ ანალიზს, რომლებიც ეხება ქალაქ Nikiszowiec-ის აღდგენის პროექტს, რომელიც 2007-13 წლებში ხორციელდებოდა (Europe for Citizens 2012) და ქალაქ Poznan-ში 2012 წლის განმავლობაში მდინარე ვარტას წყლის მენეჯმენტის პროექტს (2012, EEA Report 2014). ორივე შემთხვევაში გამოკვეთილია როგორც არასამთავრობო სექტორის, ასევე ადგილობრივი ბიზნესის და უსდ-ების ჩართულობა. ზოგადად, პოლონეთი პოსტ-საბჭოთა სივრცეში სამოქალაქო აქტივიზმის ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება ისიც, რომ ჩართულობა დიდწილად უკუპროპორციულადაა დამოკიდებული მოსახლეობის ნდობაზე საჯარო უწყებების მიმართ და პირდაპირპროპორციულია მოსახლეობის რწმენისა, რომ აქტივიზმი რეალური შედეგის მომტანია რეალური პრობლემების გადაჭრის დროს. კვლევების მიხედვით, მოსახლეობის დაახლოებით 70% ნაკლებ ინტერესს გამოხატავს ეროვნულ დონეზე ჩართულობის მიმართ, ხოლო აქედან 60% უფრო შედეგიანად სწორედ ადგილობრივ პოლიტიკაში მონაწილეობას მიიჩნევს (The Study of Effectiveness ციტ. Europe for Citizens 2012).

საყურადღებოა ისიც, რომ ჩართულობის ინტენსივობაზე გავლენას ახდენს ფინანსური სტიმულებიც, შესაბამისად, როგორც სფეროებზე, ასევე სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაზე გარკვეული გავლენა დონორი ორგანიზაციების მონაწილეობასაც აქვს.

Nikiszowiec-ის შემთხვევაში სამოქალაქო სექტორის ჩართულობა მუნიციპალიტეტის ინიციატივა იყო და ინტენსიურად მიმდინარეობდა პოლიტიკური პროცესის ყველა ეტაპზე, ძირითადად, გენერალური გეგმის შემუშავების დროს. პროცესში მონაწილეობას იღებდნენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე ადგილობრივი ბიზნესი და დამოუკიდებელი ექსპერტები. ასეთ მაღალ დაინტერესებას, გარკვეულწილად, თავად პროექტის შინაარსიც განსაზღვრავდა - პროექტი ეხებოდა ერთ-ერთი ისტორიული დასახლების აღდგენას, რაც

გულისხმობს, რომ მოქალაქეთა ე.წ. „მესაკუთრეობის“ გრძნობა პროექტის მიმართ იმთავითვე მაღალი იქნებოდა. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა ადგილობრივი მხარდამჭერი ჯგუფები, რომლებიც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებით და სამოქალაქო აქტორებით იყო დაკომპლექტებული. მათი პასუხისმგებლობა იყო საპროექტო სამუშაო ჯგუფთან მუდმივი კონტაქტი და კონსულტირება, ისევე, როგორც თეორიული დახმარების გაწევა სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს. ბუნებრივია, რომ ასეთი პროექტის განხორციელებაში ადგილობრივი ბიზნესისთვის ჩართულობის ინტერესი საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეებს შორის იყვნენ მცირე და საშუალო ადგილობრივი მეწარმეები, უძრავი ქონების სააგენტოები და სხვა. რაც შეეხება უნივერსიტეტის ჩართულობას, გარდა თეორიული ექსპერტული დახმარებისა და კვლევებისა, პროექტის ფარგლებში გაიმართა სემინარები და საჯარო ლექციების ციკლები: „როგორ მუშაობს ქალაქი“, „ქალაქის კულტურული მემკვიდრეობა“ და სხვა, რაც მიმართული იყო მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე (Europe for Citizens, 2012).

მეორე მაგალითი ეხება მდინარე ვარტას წყლის მართვის სისტემის გაუმჯობესებას ქალაქ პოზნანში 2012 წლის პერიოდში. პროექტის წამყვან ორგანიზაციებს შორის, მუნიციპალიტეტთან ერთად, იყო ორი კერძო საკონსულტაციო ფირმა, რაც იმთავითვე გულისხმობს ბიზნესის ინტერესების გათვალისწინებას. გარდა იმისა, რომ პროექტი მდინარის წყლების მართვის სისტემებში უსაფრთხოების გაძლიერებას და წყალდიდობისაგან ქალაქის დაცვას მოიცავდა, თავიდანვე გაწერილი იყო ასევე ბიზნესის დაინტერესება, ინვესტიციებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა და ქალაქის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება.

სტრატეგიის შემუშავების ეტაპზევე ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა გარე დაინტერესებულ მხარეებთან. ძირითადი აქტივობები მიმართული იყო მცირე პროექტების შესაქმნელად, რომლებიც ადგილობრივი დეველოპერებისათვის იქნებოდა საინტერესო და ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფდა. ეს, დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინების გარდა, სინერგიისა და ხარჯების ეფექტურად გადანაწილების საშუალებას იძლეოდა სახელმწიფო და ბიზნეს აქტორებს შორის. მთლიანი პროექტის ხარჯები 400000 ევროს შეადგენდა, რაც ნაწილობრივ საკონსულტაციო ფირმების მიერ იყო დაფინანსებული, ნაწილობრივ კი დანიის სახელმწიფო პროგრამის „Partner for Water” ფარგლებში (EEA Report, 2014, annex 1).

სამოქალაქო მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შეიქმნა საინფორმაციო პორტალი სამოქალაქო ჩართულობის შესახებ
- ჩამოყალიბდა 30 ექსპერტთაგან შედგენილი ჯგუფი, რომლებიც წარმოადგენდნენ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებს, მეტეოროლოგიისა და წყლის მენეჯმენტის ინსტიტუტს, შესაბამისი რეგიონულ მარეგულირებელ ორგანოებს.

გარდა ამისა, მონაწილე მხარეებს წარმოადგენდნენ:

- ბიზნეს ორგანიზაციები, ინდუსტრიული ფირმები, რომლებიც მდინარის ახლოს არიან განლაგებულები, დეველოპერები და ბიზნეს ასოციაციები
- არასამთავრობო ორგანიზაციები (სპორტის ასოციაცია და სხვ)
- უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტები

პროექტი ჩართულობას ითვალისწინებდა არა მხოლოდ შემუშავების და განხორციელების ეტაპზე, არამედ შეფასებისა და მონიტორინგის ეტაპებზეც. ამისათვის გამოყენებული იყო რეგულარული საკონსულტაციო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან, ასევე ელექტრონული ფოსტისა და ვებ-გვერდების მეშვეობით. შესაბამისი რეკომენდაციები და შენიშვნები სტრატეგიაში იქნა ასახული, განსაკუთრებით ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით. მათ შორის: პროექტის განხორციელების პროცესში ქალაქის გარკვეული ნაწილი მართვაში გადაეცა მოსახლეობას, ფეხით მოსიარულეებისათვის მწვანე ზონების შესაქმნელად აშენდა საფეხმავლო ხიდები მდინარის შენაკადებზე და შეიქმნა ეკოლოგიური ზონები მდინარის ნაპირებზე.

შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო აქტორების ჩართულობამ მნიშვნელოვნად გააძლიერა პროექტის ეკოლოგიური მხარე და ასევე ფინანსური რესურსების უფრო ეფექტური ხარჯვის შესაძლებლობები შექმნა.

გერმანია - განხილული სიტუაციური ანალიზი შეეხება ლაიპციგის რეურბანიზაციის პოლიტიკის პროგრამას, „ლაიპციგი 2030“, რომელიც გერმანიის გაერთიანების შემდეგ უსისტემო ურბანული განვითარების შედეგად დაცლილი ქალაქის ცენტრის ხელახალ დასახლებას და ეკონომიკურ აღორძინებას ისახავს მიზნად. გერმანიაში, როგორც განვითარებული დემოკრატიის ქვეყანაში, სოციალური თანასწორობა განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად მოიაზრება. საჯარო პოლიტიკის შემუშავების დროს, განსაკუთრებით, თუ ეს ურბანიზაციის საკითხებს ეხება, სამართლიანობა და ჩართულობა აუცილებელია მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ზიანი შეიძლება საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს მიადგეს. ურბანული განვითარების პრობლემებმა გასაკუთრებით იჩინა თავი ბერლინის კედლის ნგრევის შემდეგ, როდესაც გაერთიანებულ ქვეყანაში გაჩნდა აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონების ინტეგრირების საკითხი. საჭირო გახდა აღმოსავლეთ რეგიონების ისტორიული ქალაქების კონცეპტუალური განახლება, რათა მათ ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა აღედგინათ და კულტურული და ისტორიული მნიშვნელობაც შეენარჩუნებინათ. ეს არა მხოლოდ პოლიტიკის სწორ დაგეგმვას და განხორციელებას, არამედ პროცესების მიმართ შემოქმედებით მიდგომას და მოსახლეობის ინტერესების განსაკუთრებული ყურადღებით გათვალისწინებას მოითოხვდა.

ლაიპციგის მოდელი, რომელიც ქალაქის მართვის მიმართ კონსენსუსზე დაფუძნებულ მიდგომას ეყრდნობა, სამაგალითოდ შეიძლება ჩაითვალოს. თავად ლაიპციგი სამოქალაქო ინიციატივების მხადაჭერის თვალსაზრისით მეორე მუნიციპალიტეტად ითვლება ქვეყანაში, ხოლო ქალაქის მოსახელობა - მის ძირითად და ყველაზე ძვირფას კაპიტალად (Garcia-Zamor, 2012). 90-იანი წლების ბოლოს საცხოვრებელი და საოფისე შენობების დიდი ნაწილი ქალაქის ცენტრში დაიცალა, შესაბამისად, კრიტიკულად შემცირდა მოსახლეობის რაოდენობაც. თუმცა, ამას მოჰყვა აღმოსავლეთ გერმანიის და განსაკუთრებით საქსონიის რეგიონის სხვა, ნაკლებად განვითარებული ქალაქებიდან მიგრაცია, რაც 2000-იანი წლებიდან ყოველწლიურად დაახლოებით 16 000 ადამიანს შეადგენდა. შედეგად, ქალაქის ბუნებრივმა განვითარებამ ქაოტური და სპორადული სახე მიიღო და საფრთე შეუქმნა ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას და სოციალურ სტაბილურობას.

თანაბარი განვითარებისა და სწორი ურბანული პოლიტიკის შემუშავებისათვის აუცილებელი გახდა სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერება - იმ სოციალური ჯგუფების ჩართულობით, რომლებზედაც მიღებული გადაწყვეტილებები პირველ რიგში ახდენს გავლენას. დაინტერესებული მხარეების ღია ჩართულობა უზრუნველყოფს როგორც საზოგადოებრივი, ასევე კერძო სექტორის ინტერესების დაცვასაც.

პრეოქტი „ლაიპციგი 2030“ 2001 წელს დაისყო განათლებისა და კვლევის ფედერალური სამინისტროს (BMBF *Bundesministerium für Bildung und Forschung*), და გერმანიის ურბანისტიკის ინსტიტუტის პროექტის „პარტნიორები ადგილობრივი ამოცანების გადასაჭრელად„ (Partner bei der Lösung kommunaler Aufgaben - DIFU) ინიცირებული პროგრამის, “Stadt 2030“ ფარგლებში. საგულისხმოა, რომ პროგრამა გერმანიის ქალაქების განვითარების ახალი გეგმების შექმნაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა კვლევების განხორციელებას ადგილობრივი აკადემიური წრეების წარმომადგენლების მიერ, რაც, პროგრამის ავტორთა აზრით, ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავებისთვის აუცილებელი იყო. ამიტომაც საპროექტო ჯგუფები დაკომპლექტებული იყო როგორც ურბანისტებისა და არქიტექტორების, ასევე სოციოლოგებისა და ანთროპოლოგების მიერ.

ლაიპციგის შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესო იყო ქალაქში არსებული პარადოქსული მდგომარეობა - ქალაქი ერთდროულად მცირდებოდა (ისტორიული ცენტრი) და იზრდებოდა გარეუბნებში ინტენსიური და არასისტემური მიგრაციის შედეგად. ქვეყნის გაერთიანების შემდეგ ქალაქმა დაკარგა მრავალი ეკონომიკური ფუქნცია, ინდუსტრია. ამიტომაც პროექტის ერთ-ერთი მიზანი იყო დეინდუსტრიალიზაციის შეჩერება და ქალაქის მიმზიდველობის გაზრდა როგორც დასაქმების ბაზრისა (Daldrup and Doehler-Behzadi, 2004 cit. Garcia-Zamor, 2012).

მთავარ დაინტერესებულ მხარეებად არსებულ სიტუაციურ ანალიზში რამდენიმე ჯგუფი მოიაზრება. პირველ რიგში, ქალაქის არსებული და პოტენციური მოსახლეობა, რომლისთვის სოციალურად და ეკონომიკურად მისაღები საცხოვრებელი პირობების შექმნა პროექტის

მთავარი ამოცანა იყო. კერძო ბიზნესი - მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც ახალგაზრდებს მოიზიდავდა ქალაქში და ლაიპციგის უნივერსიტეტი, რომელიც ურბანული ეკოსისტემის ცენტრალურ ასპექტად მიიჩნევა და განათლების გარდა, მიმდებარე ინფრასტრუქტურის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. თავად ლაიპციგის უნივერსიტეტშიც მეტი აქცენტი კეთდება ისეთ სპეციალობებზე, რომლებიც რეგიონის საჭიროებებს შეესაბამება.

პროექტის ფარგლებში მოქალაქეთა მონაწილეობის გასაზრდელად გამოყენებულ იქნა ელექტრონული მმართველობის მექანიზმებიც, კერძოს შეიქმნა ვებგვერდი www.Leipzig2030.de, პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპიდან საჯარო კონსულტაციებისა და ღია დებატებისათვის. პარალელურად, შეიძლება ითქვას, უფრო აქტიურადაც, ხდება ჩართულობის არაპირდაპირი მექანიზმების გამოყენებაც.

ლაიპციგი 2030 პროექტში ჩართულობა ფედერალური და მუნიციპალური ხელისუფლების ინიციატივით ხორციელდება და შეიძლება აღიწეროს, როგორც საზოგადოებისათვის საჯარო სექტორის მიერ ძალაუფლების გაზიარებისა და დელეგირების მაგალითი (Nabatchi, 2012, cit, Gacia–Zamor, 2012). ჩართულობა უზრუნველყოფილია პოლიტიკის ფორმირების ყველა ეტაპზე, მათ შორის, დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის და ასევე შეფასების ეტაპზე, რომელიც პროექტის დასრულების შემდეგ ჩატარდება. მონაწილეობითი მიდგომა პროექტის წარმატების უმნიშვნელოვანეს კომპონენტად მიიჩნევა, რადგან დაინტერესებულ მხარეთა სრული ინფორმირების და მათ შორის პოტენციური კონფლიქტების პრევენციის საშუალებას იძლევა.

იტალია რეგიონულ პოლიტიკაში ჩართულობის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს. განხილულია ე.წ. ტექნოლოგიური ოლქების შექმნის რეგიონული პოლიტიკა, სადაც მკაფიოდ ჩანს ადგილობრივი ბიზნესისა და უნივერსიტეტების და კვლევითი ორგანიზაციების როლი როგორც პროცესის მონაწილეების, ასევე როგორც პოლიტიკის ბენეფიციარებისა. საინტერესო შემთხვევა ემილია-რომანას რეგიონი, სადაც ჩართულობის სტიმულირებისათვის, როგორც აღვნიშნეთ, სპეციალური კანონმდებლობაც არის შექმნილი. თუმცა, მკვლევარები აღნიშნავენ, რომ კანონის შემოღებამ მხოლოდ მოაწესრიგა და უფრო ეფექტური გახადა სამოქალაქო აქტორების მონაწილეობა, რომელიც მანამდეც საკმაოდ ინტენსიური იყო. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ აქტივობა არ არის მხოლოდ პოლიტიკური ნების შედეგი, ეს ორმხრივი პროცესია, სადაც არასახელმწიფო მხარეები ნათლად უნდა ხედავდნენ საკუთარი მონაწილეობის შედეგებს და მნიშვნელობას. ჩართულობა განსაკუთრებით აქტიური და ეფექტურია გარემოს დაცვის სფეროში. ქეისი განიხილავს 2005 წლის შემთხვევას, თუ როგორ მოხდა დაინტერესებულო მხარეების მობილიზება ნაგვის ინსინერატორის მიერ მიყენებული ეკოლოგიური ზარალის გამო; ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩართულობა ხდებოდა საჯარო უწყებებთან აქტიური კომუნიკაციის, მოსახლეობის ინფორმირებულობის და დისკუსიების სახით. საბოლოოდ გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ხელმომწერი, ერთი მხრივ, იყო სახელმწიფო (რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების სახით), მეორე მხრივ კი მოქალაქეები და ადგილობრივი ბიზნეს ორგანიზაციები. შედეგად შეიქმნა RAB (Residential

Advisory Board), რომელიც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს, მიუხედავად იმისა, რომ რეგულარული დაფინანსება არ აქვს (Casula, 2015).

შეჯამება

როგორც ევროპული სახლემწიფოების პრაქტიკის განხილვა გვიჩვენებს, საკანონმდებლო ბაზა, როგორც წესი, ეფუძნება საერთაშორისო კონვენციებს და ცალკეულ კანონებში გაფანტულ დებულებებს. მიუხედავად ამისა, იმ ქვეყნებშიც, სადაც კანონმდებლობა გამართული და ჩამოყალიბებული არ არის, ჩართულობის ხარისხი შეიძლება მაღალი იყოს. შესაბამისად, ჩართულობა კანონის არსებობა-არარსებობაზე პირდაპირ დამოკიდებული არ არის, თუმცა, კანონი უფრო აწესრიგებს პროცესს და მეტად ეფექტურს ხდის.

სახელმწიფოს ხრიდან ჩართულობის უზრუნველსაყოფად პოლიტიკური ნების გამოხატვა ქვეყნის განვითარების დონის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს.

ჩართულობა ეფექტურია, თუ სამოქალაქო აქტივიზმი ეყრდნობა:

- დაფინანსების სტაბილურ მექანიზმებს - დონორების, ან სახელმწიფო ან რეგიონული ფონდებიდან
- აერთიანებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს - არასამთავრობო, ბიზნესი და უნივერსიტეტები - და მათ ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება
- გამოწვეულია სახელმწიფოს მხრიდან უსამართლო და კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის დამაზიანებელი პოლიტიკის გატარების წინააღმდეგ პროტესტის შედეგად.

5. კვლევის შედეგები

5.1. ნორმატიული ბაზა

რეგიონული განვითარების ჭრილში, საქართველოს კანონმდებლობის იერარქიის თანახმად, გამოირჩევა „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის" (2014) და ასევე „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" (2014), რომელმაც ჩაანაცვლა „საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ". ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონული განვითარება კომპლექსური ცნებაა და მოითხოვს სახელმწიფოს მრავალი ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით ჩარევას, საქართველოს რეგიონულ განვითარებაზე მიმართული ნორმატიული ბაზა მოიცავს ასევე

სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს (შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისა და პროგრამების ჩათვლით) რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და სოფლის, მაღალმთიანი რეგიონების, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების, ტურიზმისა და პროფესიული განათლების დარგობრივი მიმართულებებით.

5.1.1.ევროინტეგრაცია

ე.წ. ასოცირების შესახებ შეთანხმება წარმოადგენს საქართველოს ევროპული სწრაფვის ერთ-ერთ ძირითად ჩარჩო-ხელშეკრულებას, რომელიც სამართლებრივად სავალდებულოა. მიუხედავად იმისა, რომ ასოცირების შეთანხმება კონკრეტულად არ მიგვითითებს სახელმწიფოსა და სამოქალაქო აქტორებს შორის უფლებამოსილებათა გადანაწილებაზე, შეთანხმება მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ „მხარეები წაახალისებენ ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და განსაკუთრებით, სოციალური პარტნიორების ჩართულობას პოლიტიკის განვითარებისა და რეფორმირების პროცესში“ (EU-Georgia 2014). ამასთან, ერთ-ერთ ამოცანად განისაზღვრება „საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, საჯარო ინსტიტუტებს, წარმომადგენლობით ასოციაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ღია, გამჭვირვალე და რეგულარული დიალოგის შენარჩუნების გზით“ (მუხლი 370). რეგიონული განვითარების მიმართულებით (თავი 21) ასოცირების შეთანხმება მოითხოვს „კომუნიკაციის არხების ჩამოყალიბებასა და ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის სისტემის განმტკიცებას .....სოციალურ და ეკონომიკურ აქტორებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის“, ასევე „ ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაძლიერებისა“, და „რეგიონული განვითარების პროცესში ჩართულ ყველა მხარეს შორის პარტნიორობის კონსოლიდაციის“ პრინციპების დაცვას (მუხლი 372).

საერთო ევროპული ჩარჩოს ჭრილში, რეგიონული პოლიტიკის განვითარებაზე ასევე ზემოქმედებს **ევროკავშირის კოჰეზიის (რეგიონული განვითარების გამოთანაბრების)** ჩარჩო პოლიტიკა (2014-2020), რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის ძირითად საინვესტიციო პოლიტიკას და მიზნად ისახავს ევროკავშირის ყველა რეგიონსა და ქალაქში სამუშაო ადგილების შექმნას, ბიზნესის კონკურენტუნარიანობას, ეკონომიკურ ზრდას, მდგრად განვითარებასა და მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას (EC 2014). აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ ევროკომისიის 2008 წლის დეკემბრის განცხადება ხაზს უსვამს კოჰეზიის პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ „ზოგიერთ პარტნიორს აქვს სტრუქტურული პრობლემები, რაც გამომდინარეობს მწვავე ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობით რეგიონებს შორის“ (EC n/d). შესაბამისად, ევროკავშირმა გააკეთა შეთავაზება პარტნიორებთან რეგიონული პოლიტიკის დიალოგის წამოწყებისა და ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკაზე მისადაგებული საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამის (PRDP) ფარგლებში

თანამშრომლობის შესახებ (EC n/d)[8]. 2011 წელს ხელი მოეწერა რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებულ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ფინანსურ შეთანხმებას (ფაზა 1), ხოლო 2014 წელს ამავე მიმართულებით თანამშრომლობის მე-2 ფაზას. კოჰეზიის პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება საშულებას იძლევა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პრაქტიკის მისადაგებისა და „სხვადასხვა რეგიონებში განვითარების დონეებს შორის უთანასწორობის შემცირებისა“, სადაც ხაზი ესმევა ისეთი ადგილების მნიშვნელობას, როგორიცაა სოფელი, ინდუსტრიული ტრანსფორმაციით დაზარალებული ზონები, მთიანი რეგიონები და სხვა (EC 2014, მუხლი 174). მიუხედავად იმისა, რომ თავად პოლიტიკის დოკუმენტი მხოლოდ დარგობრივ და ფინანსურ მიმართულებებს განიხილავს და არ განსაზღვრავს სამოქალაქო აქტორების მონაწილეობას, 2014 წელს გამოცემული ევროპის რეგიონული განვითარების ფონდისა და კოჰეზიის ფონდის მონიტორინგისა და შეფასების (monitoring & evaluation), ასევე ზეგავლენის შეფასების (impact evaluation) სახელმძღვანელო ფართოდ გამოიყენებს სექტორთაშორისო „მონაწილეობის ინდიკატორებს“, რაც, სხვასთან ერთად, მოიცავს ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ადმინისტრაციულ მონაცემთა ანალიზი, ქეისების შესწავლა, კვლევა, გამოკითხვები, მონაწილეობითი შეფასება, კონტრიბუციის ანალიზი და სხვა.

5.1.2 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

2014 წლის 5 თებერვალს მიღებული **საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი**[9] განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს. კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან განახორციელონ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირება მათი საქმიანობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ. კანონი ასევე უფლებამოსილებას ანიჭებს მუნიციპალიტეტს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს შესაბამისი პროგრამები. თვითმმართველობის კოდექსი ასახელებს

[8] აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში რეგიონული პოლიტიკის დიალოგი გულისხმობდა ყველა პარტნიორთან ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმებას. ამასთან დაკავშირებული PRDP პროცესი კი რეგიონული განვითარების სტრატეგიების მომზადებას და მათზე დაყრდნობით საპილოტე პროექტების წარდგენას (EC n/d).

[9] აღნიშნული კანონის მიღებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ".

თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებს, როგორიცაა დასახლების საერთო კრება, პეტიცია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა და მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა. ამასთან, კანონი განმარტავს, რომ მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია გასცდეს მოქალაქეთა მონაწილეობის ამ ფორმებს და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2014). კოდექსის 86-ე მუხლი განსაზღვრავს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, როგორც „მუნიციპალიტეტის მერის/რაიონის გამგებლის სათათბირო ორგანოს“, რომლის შემადგენლობა უნდა იყოს არანაკლებ 10 წევრისა და მოიცავდეს მეწარმე იურიდიულ პირებს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლებს. იმავე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია, მის მიერ დამტკიცებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები.

5.1.3. სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები და შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობა

რეგიონული განვითარება

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლის სახელმწიფო სტრატეგია[10] (სრგსს) წარმოადგენდა საშუალოვადიან სტრატეგიული დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავდა საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და ადგენდა ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობებს. სტრატეგია გულისხმობდა რეგიონებში სხვადასხვა სახელმწიფო აქტორების (ინფრასტრუქტურის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, გარემოს დაცვისა და სხვ.) მიერ კოორდინირებულ ღონისძიებათა ერთობლიობას. სტრატეგია აღიარებდა სამოქალაქო აქტორებს, როგორც დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც „ყველაზე კარგად იცნობენ მათი დასახლების, რეგიონის პრობლემებსა და საჭიროებებს“, შესაბამისად, ფართოდ მიმოიხილავდა მათ ჩართულობასა და მონაწილეობის პრინციპებს, სადაც უკანასკნელი გულისხმობდა „რეგიონული განვითარების სტრატეგიის დაგეგმვის, მიღების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესის საჯაროობას, ამ პროცესში მოქალაქეების, დაინტერესებული მხარეების, ორგანიზაციებისა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების

[10] ძალადაკარგულია 2018 წლიდან

ჩართულობას“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2010). სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, დოკუმენტი განიზრახავდა „ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფას“, რაც, სხვასთან ერთად, განიხილებოდა, როგორც „რეგიონულ დონეზე კოორდინირებული სამოქალაქო საზოგადოების ინდივიდუალური და ერთობლივი ძალისხმევა, რომელიც უზრუნველყოფს ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებების ეფექტიან განხორციელებას და მოსახლეობისათვის ხარისხიანი მომსახურების გაწევას“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2010). ამასთან, სხვადასხვა მიმართულებებით ნაგულისხმები იყო სახელმწიფოსა და არასამთავრობო, ბიზნესსექტორის, მოქალაქეებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა შორის პარტნიორობისა და სინერგიის უზრუნველყოფა. ეფექტური კოორდინაციისა და სინეგრიის ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტად წარმოდგენილი იყოს ელექტრონული მმართველობის სისტემა.

2010 წელს, სრგსს-ის მიღების შემდეგ საქართველოს ყველა რეგიონისთვის შემუშავდა რეგიონული განვითარების სტრატეგიები, რომლებიც დამტკიცდა 2013 წელს[11]. **2014-2021 წლებისთვის (სამხარეო) რეგიონის განვითარების სტრატეგიები,** მეტწილად, იდენტური ფორმატებისაა და მოიცავენ ინფორმაციას კონკრეტული რეგიონისთვის დამახასიათებელ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და არსებულ რესურსებზე, ასევე რეგიონში მოქმედ აქტორებზე და განვითარების შესაძლებლობებზე. სტრატეგიებში მეტად ან ნაკლებად აქცენტირებულია „დაინტერესებული მხარეები“, როგორც ასეთი, თუმცა ყველა დოკუმენტი ამბობს, რომ „რეგიონის განვითარების ხედვა, პრიორიტეტები, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და წინადადებები (რეგიონის) მომავალი განვითარებისათვის... მომზადდა დოკუმენტის ჩამოყალიბების პროცესში, სათანადო მეთოდოლოგიისა და ჩართულობის საფუძველზე“ (MRDI 2016). ამასთან, ზოგიერთი სტრატეგია (მაგ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა (პროექტი)) აღნიშნავს, რომ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად აუცილებელია „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში სამოქალაქო და კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და დონორების ჩართვა“ (MRDI 2016). სტრატეგიები ასევე ასახავენ შრომის ბაზრის, მცირე და საშუალო ბიზნესისა და პროფესიული განათლების საჭიროებებსა და განვითარების პერსპექტივებს, აღიარებენ კვლევების, ასევე ადგილობრივი ბიზნესებისთვის საინფორმაციო და კონსალტინგური დახმარების უზრუნველყოფის, ბიზნესსექტორსა და სამოქალაქო სექტორებს შორის თანამშრომლობის წახალისების, ტურიზმის ინდუსტრიაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის დონის გაზრდის და ამასთან მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება-ორგანიზების და სხვ. აუცილებლობას. რეგიონები, სადაც სამოქალაქო სექტორი აღიარებულია, როგორც ძლიერი „მოთამაშე“ ან „რესურსი“ (მაგ. მცხეთა-მთიანეთი) მიზნად ისახავს სექტორთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას. ამასთან, საპირისპირო

---

[11] მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიები.

შემთხვევაში რეგიონი მიზნად ისახავს „სამოქალაქო სექტორის განვითარებას“ (მაგ. გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი). რამდენიმე სტრატეგია (მაგ. გურია, სამცხე-ჯავახეთი) მიზნად ისახავს სპეციალური ფონდის ფორმირებას, რომელიც აამოქმედებს საჯარო-კერძო პარტნიორობის სქემებს ბიზნესპროექტების დაფინანსებისა და საწარმოებზე შეღავათიანი კრედიტების გაცემის გზით, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისა და კერძო სექტორის აქტიურ თანამშრომლობას საინვესტიციო პროექტების შესამუშავებლად და ინვესტიციის მოსაზიდად. რამდენიმე სტრატეგიაში ნახსენებია ასევე საბანკო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება, თუმცა მხოლოდ დამატებითი ბანკომატების განთავსების მიზნით. უნივერსიტეტები (რეგიონში არსებობის შემთხვევაში), პროფესიულ სასწავლებლებთან ერთად, დანახულია, როგორც მოთხოვნადი პროფესიების შესწავლის საშუალება შრომის ბაზრის ჰარმონიზაციისთვის, თუმცა თავად სასწავლებლის მონაწილეობითი როლი არაა გამოკვეთილი.

2015 წელს საქართველოს ხელისუფლებამ დაამტკიცა ახალი **„2015-2017 წწ საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა“**, რომლის საწყის წერტილს წარმოადგენდა „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია“, თუმცა ფართო პოლიტიკურ (ევროკავშირთან თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლა) და შიდა პოლიტიკურ (სახელმწიფო დარგობრივი პოლიტიკის მნიშვნელოვანი კორექტირება) გარემოებებზე დაყრდნობით, 2015-2017 წლების პროგრამა მნიშვნელოვნად განსხვავდება 2010-2017 წწ სტრატეგიისგან და „ეფუძნება და დიდწილად შესაბამისობაშია ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკის (რეგიონებს შორის უთანაბრობის შემცირება) გამოცდილებასთან“ (Gov.ge n/d). დოკუმენტი მოიცავს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღწერას, რეგიონული განვითარების ძირითად საჭიროებებს, დაფინანსების წყაროებს, პრიორიტეტებს, მიზნებსა და ღონისძიებებს, ასევე განხორციელებული პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო ფორმას. მიუხედავად იმისა, რომ 2013-2017 წწ პროგრამის არც ერთი ნაწილი არ ახსენებს ან გამოყოფს სამოქალაქო აქტორებს, 2015 წელს გამოიცა საქართველოს მთავრობის #1750 განკარგულება „რეგიონის განვითარების სტრატეგიების *სამოქმედო გეგმების* შემუშავების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“, ზემოხსენებული რეგიონის (სამხარეო) სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შესამუშავებლად. განკარგულება რეფერირებას ახდენს ასოცირების შესახებ შეთანხმების 372-ე მუხლზე და ასევე 2014 წლის 18 ნოემბრის საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის ფინანსურ ხელშეკრულებაზე. ეს დოკუმენტი-სახელმძღვანელო განკარგავს, რომ „სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს, როგორც რეგიონული განვითარების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველყოფით“ (საქართველოს მთავრობა 2015). ამასთან, დოკუმენტი განმარტავს, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს წარმართავს *სამხარეო საკონსულტაციო საბჭო*, რომელშიც მონაწილეობის საშუალება უნდა მიეცეთ სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს და რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების მუდმივი

მონაწილეობა, საბჭოსთან შექმნილი სამხარეო საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფებისა და სხვა საშუალებებით. ამასთან, სამხარეო გუბერნატორს და მის ადმინისტრაციას ევალება როგორც საკონსულტაციო საბჭოს, ასევე სამუშაო ჯგუფების საქმიანობის უზრუნველყოფა და მხარდაჭერა, საქმიანობის კოორდინაცია და დაინტერესებული პირებისათვის და საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება და საზოგადოების წარმომადგენლობის ჩართულობის უზრუნველყოფა.

სამხარეო სტრატეგიების სამოქმედო გეგმებში ასახულია კონკრეტული რეგიონის პრიორიტეტები, დაგეგმილი პროექტები და პროგრამები სავარაუდო ბიუჯეტებით. დოკუმენტების მიხედვით, სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში მთავარი როლი ენიჭება სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს. სტრატეგიული პრიორიტეტები, ჩვეულებრივ, მოიცავენ ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობის განვითარება, განათლება და კულტურა, ჯანდაცვა, ტურიზმი, მმართველობის სრულყოფა და სხვა. ამასთან, ზემოხსენებულ სამთავრობო ინსტრუქციაზე დაყრდნობით, პრიორიტეტების განმახორციელებელ ერთ-ერთ მექანიზმად აღიარებენ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოსთან არსებულ ტექნიკურ სამუშაო ჯგუფებს, რომელთა შემადგენლობაში სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ერთად მოიაზრებიან სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები. ასევე სხვა დაინტერესებული პირები. სამოქმედო გეგმები მომზადებულია ე.წ. „ლოგიკური მოდელის“ ფორმატში, რაც ასახავს პროგრამულ მიზნებს, ამოცანებსა და მოსალოდნელ შედეგებს, შესაბამისი ბიუჯეტით. კვლევის ფარგლებში გაანალიზებული სამოქმედო გეგმების პრიორიტეტები და პროგრამული ბიუჯეტები შეესაბამება მოცემული სამხარეო სტრატეგიისა და ასევე ეროვნული რეგიონული განვითარების ფონდის პრიორიტეტებს.

ზემოხსენებულთან ერთად, სახელმწიფო ასევე განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან** დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებსა და კრიტერიუმებს საქართველოს მთავრობის #23, 2013 წლის 7 თებერვლის დადგენილებით. დადგენილების მიხედვით, პროცედურები და კრიტერიუმები განისაზღვრება პროექტების განსახორციელებლად საჭირო სახსრების გამჭვირვალედ და ეფექტიანად გამოყენებისა და ასევე ადგილობრივი და რეგიონული პრობლემების წარმოჩენისა და გადაწყვეტისას თვითმმართველობის ორგანოებისა და მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფისთვის (MRID n/d).

სოფლის მეურნეობა და სოფელი

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 მიზნად ისახავს „საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებასა და მიზნობრივ გამოყენებას ქვეყნის ეკონომიკისთვის“ (საქართველოს სოფლის მეურნეობის

სამინისტრო 2015). შესაბამისად, სტრატეგიული მიმართულებები მიზნად ისახავენ აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას. სტრატეგია აღნიშნავს, რომ დოკუმენტის შემუშავების საქმეში, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, მნიშვნელოვანი დადებითი როლი ითამაშეს საქართველოს ეროვნულმა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებმა, დონორ ორგანიზაციებმა, გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციამ (FAO), ასევე ევროპის სამეზობლო პროგრამამ - სოფლის მეურნეობისა და სოფლად განვითარებისათვის (ENPARD). ამასთან, მთავარი სტრატეგიული ღონისძიებები (სხვადასხვა მიმართულებების ფარგლებში) განიხილავენ აგრარულ სექტორში განათლებისა და კვლევის სისტემების გასაძლიერებლად საქართველოს ეროვნულ და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებთან, უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან, ადგილობრივ კვლევით ცენტრებთან, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ საერთაშორისო განათლებისა და კვლევით ორგანიზაციებთან და შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. სტრატეგიის მიხედვით, „ჩართულობა" მეტად გულისხმობს კოოპერატივების, სამიზნე ჯგუფებისა და საზოგადოების კონსულტაციას, თუმცა, საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით, ასევე მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან, ბიზნეს ორგანიზაციებსა და სხვა პირებთან მუშაობის გააქტიურებას. კერძო სექტორის ჩართულობას სტრატეგია უკავშირებს დონორებთან კოორდინაციის განმტკიცებას. კერძოდ, სტრატეგიის მიხედვით, დონორთა საკოორდინაციო კომიტეტების დახმარებით „გაძლიერდება დონორების, კერძო სექტორისა და ფერმერთა მონაწილეობით შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობა, რაც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში კერძო სექტორის ჩართულობას"(MOA 2015, ღონისძიება 3.2.4). სტრატეგიაში ასევე გვხვდება ე.წ. „ეკონომიკური ჩართულობის" მაგალითები, როგორც, მაგალითად, თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების პროცესის მხარდაჭერის შემთხვევაში (ღონისძიება 3.4.5), სადაც მიზნადაა დასახული კერძო სექტორის ჩართულობა უვირუსო თესლის/სარგავი მასალის სანდო და კონტროლს დაქვემდებარებული წარმოებისა და მონიტორინგის პროცესში.

საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 შემუშავებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციით, ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყების ჩართულობით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) და გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) აქტიური თანამშრომლობითა და მხარდაჭერით. სტრატეგია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „სოციალურ ჩართულობას და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობას ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მოგვარების გზებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში" (MOA n/d). სტრატეგია აღიარებს, რომ მისი მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ჩართულობის დამატებითი ქმედითი მექანიზმების შექმნა და მონაწილეობის წახალისება, ასევე ამ მექანიზმების გამოყენებისათვის სოფლის მოსახლეობის საჭირო უნარებით აღჭურვა (პრობლემის

იდენტიფიცირებისა და სხვა მიმართულებებით). ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და პრიორიტეტული პროექტების შერჩევისა და განხორციელების კუთხით სტრატეგია მნიშვნელოვან როლს ანიჭებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში საპილოტე მუნიციპალიტეტებში შექმნილ ადგილობრივი განვითარების ჯგუფებს. ამასთან, სტრატეგია ცალკე თავად გამოყოფს ჩართულობა-თანამშრომლობას ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის (თავი 1.3). აღნიშნული თავი რეფერირებას ახდენს საქართველოს ადგილობრივი კოდექსის მიერ განსაზღვრულ მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპებსა და მექანიზმებზე და აღნიშნავს ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის თანამშრომლობის სავალდებულობას, როგორც მუნიციპალურ, ისე დასახლებების დონეზე და არსებული სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთ ბერკეტად მიიჩნევს მუნიციპალიტეტებში შექმნილ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოებს. სტრატეგია მოიშველიებს საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სტრატეგიას და აღნიშნავს, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების, მეწარმეების და მოქალაქეების თანამშრომლობა არის მდგრადი რეგიონული განვითარების და ეფექტიანი რეგიონული მართვის საფუძველი. სტრატეგია ასევე აღნიშნავს სოფლის განვითარების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის მოსახლეობის, კერძო სექტორის და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობას და ამისთვის გეგმავს მათი ინფორმირებულობის ამაღლებასა და კონსულტაციებში ჩართულობის უზრუნველყოფას მათი მხრიდან აზრის გამოხატვისა და მნიშვნელოვანი საკითხების ინიცირებისთვის (MOA n/d).

2017 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ[12] შეიმუშავა **სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის 2018-2019 წლების ეროვნული სტრატეგია.** სტრატეგიის დოკუმენტი სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ევროკავშირის მხარდაჭერით და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ექსპერტების ჩართულობით შეიმუშავა. სტრატეგიის მთავარი მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ფერმერთათვის ახალი ტექნოლოგიების გაცნობითა და ცოდნის გადაცემის გზით. ექსტენციის სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში დაგეგმილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს არსებული 54 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ფერმერთა საჭიროებებზე ორიენტირებულ ექსტენციის სამსახურებად ჩამოყალიბება. სტრატეგია ცალკე თავს უძღვნის სახელმწიფო, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი, კერძო და არასამთავრობო სექტორების როლს სასოფლო- სამეურნეო ექსტენციაში და მრავალი დარგობრივი მიმართულებით ვარაუდობს მათ ჩართულობას დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ეტაპებზე. ამასთან, განსაზღვრავს სექტორთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების გამოყენებას[13]

[12] 2017 წლის დეკემბერში, საჯარო სექტორის რეფორმის ფარგლებში, გარემოს დაცვის სამინისტრო შეუერთდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რამაც გამოიწვია უწყების სახელწოდების ცვლილება

[13] მაგ. კერძო და არსამთავრობო სექტორის წვრთნების/ტრენინგ-გეგმების შედგენაში მონაწილეობის მისაღებად მოწვევა; მობილური და ონლაინ აგრო-ინფორმაციის პლატფორმების გამოყენებაში საზოგადოებრივი და

(საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2017). ფერმერთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად ასევე იგეგმება სამი იერარქიული დონის „ფერმერთა საბჭოების“ შექმნა (ეროვნული, რეგიონალური და მუნიციპალური დონეები), რომლებიც სპეციფიკური უფლება-მოვალეობების განსაზღვრით უზრუნველყოფენ ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს სტრატეგიის განხორციელებისა და მართვის მექანიზმებს, ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების ჩათვლით.

პროფესიული განათლება

პროფესიული განათლების რეფორმის 2013-2020 სტრატეგიის მიხედვით, იგი „შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციის საფუძველზე და მასში ასახულია დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, პროფესიული განათლების ადგილობრივი და საერთაშირისო სპეციალისტების, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების, სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების ექსპერტული მოსაზრებები“ (gov.ge n/d). პროფესიული განათლების ერთ-ერთ გამოწვევად სტრატეგია აღიარებს სოციალური პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების ნაკლებ ჩართულობას პროფესიული განათლების პოლიტიკის პროცესის ყველა ეტაპზე. შესაბამისად, ერთ-ერთ პრიორიტეტად ასახელებს „სოციალური პარტნიორების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას სისტემის ყველა დონეზე როგორც გადაწყვეტილებების მიღების, ასევე პროფესიული განათლების მთელ პროცესში“, რასაც ვარაუდობს „რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოების, თემატური სამუშაო ჯგუფებისა და სოციალური პარტნიორების დაბალანსებული და თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფით“ (Gov.ge n/d). ამასთან, სტრატეგიის სამოქმედო გეგმა და მონიტორინგისა და შეფასების ე.წ. „ლოგიკური მოდელი“ დეტალურად აღწერს სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის (მეტწილად პროფესიული სასწავლებლების), აკადემიური წრეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმებს. მონიტორინგისა და შეფასების გეგმაში აღსანიშნავია სამოქალაქო საზოგადოების მიერ სტრატეგიის დანერგვის პროცესის დამოუკიდებელი მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება და ალტერნატიული წინადადებების შეთავაზება. კერძო სექტორის (დამსაქმებლის) ჩართულობა, სხვასთან ერთად, ნავარაუდევია პროფესიული განათლების ფორმირების პროცესში ყველა დონეზე მათი მონაწილეობითა და მოტივირების გზით, ეკონომიკური ჩართულობის

არასამთავრობო ორგანიზაციების, მენეჯერების მიერ ექსტენციის აგენტების გადამზადება; სპეციალიზებული კვლევითი ინსტიტუტების, ლაბორატორიებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე სამეცნიერო-კვლევითი ქსელის შექმნა; ექტენციის სერვისების მონიტორინგისა და შეფასების (M&E) მეთოდოლოგიის/სისტემის შექმნაში გამოცდილების მქონე კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა და სხვ.

უზრუნველსაყოფად. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისთვის დოკუმენტი ფართოდ განიხილავს სხვადასხვა კვლევებისა და ინფორმაციის შეგროვების მექანიზმების გამოყენებას. ამასთან, შრომის ბაზრის ანალიზისა და პროგნოზირებისათვის გეგმავს ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს დაარსებას. სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ათასწლეულის გამოწვევის პროგრამას - საქართველო (MCG).

ეკონომიკა და ტურიზმი

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 (პროექტი) აღნიშნავს, რომ „საქართველოს მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, რათა ყოველმა მოქალაქემ ისარგებლოს მიღწეული შედეგებით და ამავე დროს, შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობა ეკონომიკური განვითარების პროცესში" (Gov.ge n/d). სტრატეგია აღნიშნავს, რომ ეფექტიანი საჯარო მმართველობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. ამასთან, სახელმწიფო მომსახურებების გასაუმჯობესებლად და საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის გასაზრდელად გეგმავს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის დიალოგის გაღრმავებას, რამაც უნდა უზრუნველყოს ბიზნესის ჩართულობა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში. სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების ხედვა გულისხმობს მთავრობის თანამშრომლობას კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან და ამ მიზნით გეგმავს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით განვითარების ეროვნული საბჭოს (გეს) შექმნას.

განვითარების ეროვნული საბჭოს შექმნას ასევე გულისხმობს საქართველოს **კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ (2015),** თუმცა შემადგენლობა განისაზღვრება მხოლოდ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებით. კანონის შესაბამისად, „სახელმწიფოს მიერ მაღალმთიანი რეგიონების მიმართ განხორციელებული პოლიტიკა არის ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილი და მიმართულია საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისაკენ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისაკენ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2015). სხვაგვარად, დოკუმენტი არ მოიხსენიებს მონაწილეობისა და ჩართულობის კომპონენტებს.

რეგიონულ პოლიტიკაზე ზემოქმედი კიდევ ერთი დოკუმენტია **საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025**. დოკუმენტი განმარტავს, რომ შემუშავებაში მნიშვნელოვნად იყო ჩართული მსოფლიო ბანკი, რომლის დახმარებით ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა კონსულტაციები ორგანიზაციებისა და სპეციალისტების ფართო სპექტრთან (ეროვნული და ადგილობრივი მთავრობა, ტურ-ოპერატორები, სატრანსპორტო სფეროს წარმომადგენლები,

ინვესტორები, დაცულ ტერიტორიებსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელი უწყებები, არასამთავრობო სექტორი, დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები და სხვა). სტრატეგია ხაზს უსვამს კერძო სექტორის წამყვან როლს ტურიზმის განვითარების საქმეში და აღნიშნავს, რომ დარგობრივი მიმართულებების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს, ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარება.

2016 წლის 6 ივლისს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა **საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) პოლიტიკის დოკუმენტი**. დოკუმენტი გამოხატავს საქართველოს მთავრობის პოლიტიკის ნებას „განახორციელოს აუცილებელი სამართლებრივი და ეკონომიკური რეფორმა, საქართველოში კერძო სექტორის ჩართულობისა და ინვესტიციებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნის, კერძო სექტორის გამოცდილების, ტექნოლოგიური განვითარების, ინოვაციისა და ეფექტურობის გამოყენების“ და სხვ. მიზნით.

პოლიტიკის დოკუმენტი მიზნად ისახავს ა) საქართველოს მთავრობის მხრიდან ინვესტორებისა და საფინანსო ინსტიტუტებისათვის საჯარო და კერძო თანამშრომლობის წახალისებისა და საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ხელშეწყობის მზაობის შეტყობინებას, ბ) საჯარო და კერძო თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების დადგენას და გ) ინსტიტუციური სისტემის განსაზღვრას, რაც უზრუნველყოფს როგორც საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ეფექტურ განხორციელებას, ისე საჯარო ინტერესების დაცვას. დოკუმენტი არ ზღუდავს საჯარო-კერძო თანამშრომლობის სფეროებს და სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, მხარი დაუჭიროს საჯარო-კერძო თანამშროლობის პროექტებს როგორც პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსებითა და თანადაფინანსებით, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო გარანტიებით, ასევე სხვადასხვა არასაბიუჯეტო ფონდების ან/და სახელმწიფო უწყებების მიერ თანადაფინანსებით.

პოლიტიკის დოკუმენტზე დაყრდნობით ამჟამად მუშავდება საკანონმდებლო ჩარჩო, რომლის მიზანია მონაწილე მხარეების უფლებებისა და ვალდებულებების დარეგულირება, ერთიანი სამოქმედო ჩარჩოს შექმნა და უკვე განხორციელებული პროექტების გამოცდილებით დამდგარი ხარვეზების აღმოფხვრა და პრევენცია.

კანონპროექტი არეგულირებს PPP პროექტების განხორციელების წესებს, ჩართული მხარეების ვალდებულებებს და უფლებებს და ავალდებულებს მთავრობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება შესაბამისი საჯარო უწყებების მონაწილეობის თაობაზე. დოკუმენტი განმარტავს და ადგენს PPP პროექტების კრიტერიუმებს და განსაზღვრავს სახელმწიფოს მხრიდან პროექტის მონაწილეების მხარდაჭერის ფორმებს. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მხრიდან მონაწილე მხარე შეიძლება იყოს არა მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლება, არამედ მუნიციპალიტეტები, სსიპები და სახელმწიფო საწარმოები, რომელთაც მსგავსი ტიპის პროექტების ინიცირების უფლებამოსილება ექნებათ.

კანონის მიღებით უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოს კერძო პარტნიორის შერჩევის პროცედურა. ამასთან, სახელმწიფოს მხრიდან იქმნება თანაბარი კონკურენტული პირობები, პროგნოზირებადი ხდება როგორც პროექტის განხორციელების ეტაპები, ასევე ფინანსური ვალდებულებების რეგულირება. კანონპროექტის მიხედვით იკვეთება ორი საჯარო უწყების როლი - ფინანსთა სამინისტროს ფისკალური რისკების აღრიცხვის დეპარტამენტი, რომელსაც ევალება ყველა PPP პროექტთან დაკავშირებული ფისკალური რისკებისა და ფინანსური მდგრადობის შეფასება და საჯარო კერძო თანამშრომლობის სააგენტო, სსიპი, რომელიც დაექვემდებარება პრემიერ მინისტრს და რომელიც უზრუნველყოფს PPP პროექტებში უფლებამოსილი საჯარო უწყებების მხარდაჭერას და კერძო სექტორის დაინტერესების ზრდას, საზოგადოებრივი ინტერესების და მოთხოვნების დაცვას. საბოლოოდ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

სახელმწიფო მხარდაჭერაში იგულისხმება ისეთი მექანიზმები, როგორიცაა გარანტიის უზრუნველყოფა მომხმარებელზე, შემოსავლების გენერირებასა და ტარიფზე, კონკრეტული საქმიანობის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების გადაცემა, PPA (Purchase Power Agreement) მექანიზმი[14] და სხვა. კანონი გამოკვეთს პროექტის განხორციელების რამდენიმე თანმიმდევრულ ეტაპს, რომლებიც მოიცავენ საბაზისო კვლევების საფუძველზე პრიორიტეტული სფეროს განსაზღვრასა და ალტერნატივების შეფასებას, კერძო სექტორის დაინტერესების გამოვლენასა და ხარჯ-სარგებლის ანალიზს, პროექტთან დაკავშირებული ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ზეგავლენის კვლევებსა და შეფასებებს, ასევე განხორციელებული პროექტების მონიტორინგსა და შეფასებას.

5.2.ჩართულობის მაგალითები პოლიტიკის პროცესში

სტრატეგიის შემუშავება

დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და ანალიზი

რეგიონული პოლიტიკის დაინტერესებულ მხარეებად საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები მოიაზრებენ მთლიანად რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას. ამასთან, დარგობრივი უწყებები, მანდატის შესაბამისად, გამოყოფენ რეგიონული აქტორების შესაბამის სეგმენტებს (ფერმერები, გლეხები, არასამთავრობოები, ექსპრტები, ბიზნეს ერთეულები, ტურ-ოპერატორები და სხვ.). ამასთან, თუკი ეროვნული ხელისუფლება მეტადაა ორიენტირებული პოლიტიკის საერთო ხედვასა და პროგრამულ მიმართულებებზე, რეგიონის ადმინისტრაცია, ბუნებრივია, მეტად ახდენს მოცემული რეგიონის დაინტერესებული მხარეების

[14] წინასწარ განსაზღვრული ფასით, გარკვეული პერიოდით, გარკვეული მომსახურების გარანტირებული შესყიდვა კერძო პარტნიორისაგან, რაც განსაკუთრებით ხშირად ხორციელდება ენერგეტიკის სფეროში.

იდენტიფიცირებას და ყურადღებას უთმობს ცალკეულ სეგმენტებს. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და რეგიონების დონეზე მათი ანალიზი შემოიფარგლება ოფიციალურ სტატისტიკაზე დაფუძნებული რეგიონში არსებული ვითარების აღწერილობით და არა კვლევის შედეგად გამოვლენილი ჩართულობის ან რესურსის გამოვლენა/გამოყენებით. არც რეგიონის და არც ეროვნულ დონეზე ახდენენ დაინტერესებულ მხარეთა გამიჯვნას არადაინტერესებული მხარეებისგან. არაა გააზრებული პოლიტიკის პროცესის შესაბამის ეტაპებზე მათი ჩართულობა. სეგმენტურად ხდება ასევე დაინტერესებული მხარეების რეგიონული პოლიტიკის განხორციელებაში პრიორიტეტებად დალაგება (ფუნქციებისა და მნიშვნელობის მიხედვით), სპეციფიკური ინტერესების, გავლენის, რესურსებისა და რისკების, ასევე ჩართულობის მიზნებისა და ღირებულების გააზრება და გაანალიზება.

ინსტიტუციური პარტნიორობა დაინტერესებულ მხარეებთან

ეროვნულ დონეზე დიალოგი შემოიფარგლება ინფორმირებით („საქმის კურსში ჩაყენებით“), კონსულტაციებით და იშვიათად გულისხმობს სრულფასოვანი პარტნიორობის ან თანამშრომლობის დაგეგმვას და განხორციელებას.. პოლიტიკის საჭიროება ან ზეგავლენის მექანიზმები არ განიხილება ან მოწმდება კვლევით, გამოკითხვით, ფოკუს ჯგუფების საშუალებით ან სხვა. ამ თვალსაზრისით, ასევე არ გამოიყენება უნივერსიტეტების პოტენციალი არც ინფორმაციის გავრცელების ან კვლევის განხორციელების კუთხით. ცალკეულ შემთხვევებში, საჭიროებების გამოვლენისა და სამომავლო პროექტების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის მიზნით, იყენებენ საერთაშორისო პარტნიორების მიერ განხორციელებულ კვლევებსა და სტატისტიკას.

ეროვნულ დონეზე გვხვდება ე.წ. საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც, მეტწილად, საერთაშორისო პარტნიორების დახმარებითაა შექმნილი. მაგალითად, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA) დაკავშირებული სურსათის უვნებლობის კომპონენტში მოსაწესრიგებელია 250-მდე სამართლებრივი აქტი. ამ მიმართულებით ცვლილებების გასაცნობად და განსახილველად სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოში დაფუძნდა „საზოგადოებრივი დარბაზი“ (Public Hall), სადაც იწვევენ დარგობრივ ექსპერტებს, მწარმოებლებსა და ბიზნეს ასოციაციებს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის წარმომადგენლები, თავის მხრივ, არ ახდენენ პოლიტიკის ანალიზს ან შეფასებას, მათი წარმომადგენლობა მოიცავს ისეთ საკონსულტაციო საბჭოებს, როგორიცაა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიაზე მომუშავე **საკონსულტაციო საბჭო**, როგორც **კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის პლატფორმა,** რომელიც კერძო სექტორის ხელშეწყობის და

სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შეიქმნა[15]; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების საკოორდინაციო საბჭო; საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მრჩეველთა საბჭო; საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს „ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებების" კომიტეტი; EU4Business - East-Invest 2 პროგრამის, საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმის ფარგლებში შექმნილი ბიზნეს გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი და სხვა.

ზემოხსენებულთან ერთად გვხვდება საბჭოების ისეთი მაგალითები, როგორიცაა სოციალური პარტნიორობის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტთან შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელშიც ძირითადად შედიან, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Labor Organization, ILO) მიერ აღიარებული მხარეები - დამსაქმებელთა ასოციაციები, პროფკავშირები, მცირე და საშუალო ბიზნესის ასოციაცია, შშმ პირთა ასოციაცია და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოში არ შედის მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც რეალურად აქტიურად არიან ჩართულები კოლეჯების განვითარებაში რეგიონებში (იხ, შესაბამის თავში) ასეთივე საბჭოებია შექმნილი სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან და ტურიზმის დეპარტამენტთან; თუმცა, პოლიტიკის (პროგრამებისა და პროექტების ჩათვლით) დოკუმენტების შემუშავება ხდება საჯარო სტრუქტურის მიერ დამოუკიდებლად და მხოლოდ დოკუმენტის დასრულების ეტაპზე ხდება მისი გაზიარება (ან რეკომენდაციების მიღება) საბჭოებთან/დაინტერესებულ მხარეებთან. დოკუმენტების განხილვისას, ხელისუფლება ითვალისწინებს გარკვეულ რეკომენდაციებს და შესწორებები შეაქვს დოკუმენტში. მიუხედავად ამისა, ეს შესწორებები, ძირითადად, ტექნიკურ ხასიათს ატარებს, არ წარმოადგენს ახალ იდეებს ან თანამშრომლობის ალტერნატივებს და მნიშვნელოვნად ვერ ცვლის პოლიტიკის აქცენტებსა და მიმართულებებს. ცალკეული შემთხვევაა სოფლის მეურნეობის საგრანტო კომისია, რომელშიც წარმოდგენილ ერთ-ერთ ბიზნეს ასოციაციას საშუალება ეძლევა ზეგავლენა მოახდინოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესზე. კერძო სექტორი, თავის მხრივ და საკუთარი ინიციატივით, ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართავს ან/და რთავს იმ მიმართულებით, რაც უშუალო

---

[15] ამ ეტაპზე, საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში, სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნესის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით ოთხი შეხვედრა ჩატარდა; საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში ხორციელდება კერძო სექტორის მხრიდან დასმული საკითხების/პრობლემების შემდგომი შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება. აღნიშნული გულისხმობს კერძო სექტორის განვითარებისთვის შემაფერხებელი პრობლემების იდენტიფიცირების, გაანალიზების და მათ გადასაჭრელად საჭირო ღონისძიებების განხორციელების პროცესში სამუშაო ჯგუფის ჩართულობას.

კავშირშია მათ ბიზნეს ინტერესებთან, რაც, ძირითადად, ლობირებით, ასევე მაღალი დონის კონფერენციებისა და შეხვედრების ორგანიზებით ხორციელდება.

ზოგადად, ასოციაციასთან, როგორც ორგანიზაციის ფორმასთან ურთიერთობა, საჯარო სექტორისათვის უფრო მოსახერხებელია და მეტ მოქნილობას გულისხმობს. ამასთან, მიუხედავად ზემოხსენებული სოციალური პარტნიორობის ფარგლებში დარგობრივი ასოციაციების დაგეგმვისა და ნაწილობრივ განხორციელების ეტაპებზე ჩართულობისა, დგება საკითხი, რამდენად ხელმისაწვდომია საჯარო სერვისები და ინფორმაცია ასოციაციაში გაუწევრიანებელი ბიზნეს ერთეულებისათვის. ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ საშუალებას მიმართავს ფერმერთა ასოციაცია, რომლის ინიციატივით შექმნილია ე.წ. „ფერმერთა პარლამენტი", სათათბირო ორგანო, რომლის წევრებსაც ფერმერები თავად ირჩევენ და რომელსაც საშუალება აქვს, ასოციაციის გარეშე მიაწვდინოს ხმა შესაბამის საჯარო უწყებას. თუმცა, ცალკეული ფერმერები არც ასოციაციას და არც ფერმერთა პარლამენტს არ მიიჩნევენ საჯარო სექტორთან ურთიერთობის საკმარისად ეფექტურ და მოქნილ მექანიზმად.

არსებული საბჭოების არათანაბარი ეფექტურობის (ან არაეფექტურობის) მიზეზებს განსხვავებულად ხსნიან საჯარო და სამოქალაქო აქტორები. სამოქალაქო აქტორები საუბრობენ კვალიფიკაციის ან პოლიტიკური ნების ნაკლებობაზე, რაც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს დაინტერესებული მხარეების ინტერესების მართებულად გათვალისწინებაზე, ხოლო სახელმწიფოს წარმომადგენლები - სამოქალაქო აქტორების გადაჭარბებულ მოლოდინებზე, აქტიურობის ნაკლებობაზე და მათი მხრიდან სრულფასოვანი (მათ შორის, ფინანსური) ვალდებულებების აღებისგან თავშეკავებაზე[16].

მიუხედავად ზემოთქმულისა, გვხვდება თანამშრომლობის წარმატებული მაგალითები. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა ე.წ. „თხილის საბჭო", რაც განაპირობა თხილის, როგორც #1 საექსპორტო პროდუქტის აღიარებამ. სამთავრობო წარმომადგენლებთან ერთად საბჭოში მონაწილეობას იღებს „თხილის ასოციაცია" . სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის ფარგლებში და თხილის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ასოციაციის მხრიდან ინიცირებული რეგულაციის შედეგად, გადამამუშავებელ თხილის ექსპორტიორებს დაევალათ HACCP სტანდარტის[17] დანერგვა.

---

[16] მაგალითად, პროფესიული განათლების სფეროში საჯარო სექტორიდან გაკეთდა ღია შემოთავაზება სამოქალაქო აქტორებზე (ძირითადად, დამსაქმებელთა ასოციაციებზე) ფუნქციების დელეგირების შესახებ, რაც გულისხმობდა მათ მიერ საგანმანათლებლო სტანდარტების და პროგრამების შემუშავებას და ვალიდაციას, რაც საშუალებას მისცემდა პოტენციურ დამსაქმებელს თავად განესაზღვრა კადრების კვალიფიკაციის და სწავლების ხარისხის დონე. სამოქალაქო აქტორები თავს იკავებენ ამგვარი ვალდებულების აღებისგან შესაბამისი ფინანსური ვალდებულებების გამო.

[17] HACCP (Hazard Analysis and Critical Control Point) სტანდარტი წარმოადგენს სისტემას, რომელიც გულისხმობს სურსათის მწარმოებლებისგან გარკვეული პროცედურების დაცვას, რაც უზრუნველყოფს სურსათის მომხმარებლის უსაფრთხოებას (Food Standards Agency n/d). ევროპის ქვეყნებში სტანდარტი არ ატარებს

ხელისუფლების მხრიდან კერძო სექტორის ჩართულობა მეტად მოიაზრება *ადგილობრივ დონეებზე* პოლიტიკის განხორციელების ეტაპებზე, მეტწილად ეკონომიკური ჩართულობის-თანამშრომლობის კუთხით. ამის მაგალითია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული ექსტენციის სისტემის განხორციელება, რაც ვარაუდობს[18] სახელმწიფოსა და წარმატებულ ფერმერებს შორის თანამშრომლობას (განათლება, პრაქტიკული სადემონსტრაციო ნაკვეთების შექმნა და სასწავლო პრაქტიკისთვის გამოყენება და სხვა).

ადგილობრივ დონეზე კერძო სექტორის ეკონომიკურ ჩართულობას ვარაუდობს ასევე სოფლის მეურნეობის მიერ წამოწყებული მელიორაციების ასოციაციების შექმნისა და ამოქმედების პროექტი. თუკი ამჟამად სახელმწიფოა რეგიონებში მელიორაციის ძირითადი უზრუნველმყოფელი (როგორც ძირითადი არხის, ასევე კერძო ფერმერთა მომმარაგებელ ქსელების), შემუშავების პროცესში მყოფი ახალი კანონის შესაბამისად, სახელმწიფო შეინარჩუნებს მხოლოდ ძირითადი მარაგის მიმწოდებლის როლს, ხოლო ინდივიდუალური დაქსელვის განმკარგველები გახდებიან წევრობაზე დაფუძნებული ე.წ. „წყლის ასოციაციები". ეს თვითმმართველი ერთეულები მიიღებენ გადაწყვეტილებას როგორც წყლის განაწილებაზე, ასევე ტარიფებზე და განახორციელებენ სამელიორაციო სისტემის მოვლა-პატრონობას. მიზნობრივად შექმნილ შუამავალ სახელმწიფო უწყებას ექნება მხოლოდ მარეგულირებელი და მონიტორინგის ფუნქცია.

აქვე უნდა ითქვას, რომ ინფორმირებულობაც და კონსულტირებაც უფრო ინტენსიურია, როდესაც სამოქალაქო სექტორი უშუალოდ ხედავს თავის ჩართულობის დადებით შედეგებს: ასეთი ჩართულობის წარმატებული მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ პროფესიული განათლების დეპარტამენტსა და მსხვილ ბიზნესებს, ისევე, როგორც სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოსა და მსხვილ ბიზნესებს შორის თანამშრომლობა. მსხვილი ბიზნესი ნათლად ხედავს იმ სარგებელს, რაც შეიძლება მას დუალურ განათლებაში ინვესტიციამ მოუტანოს, ამიტომაც აქტიურად ერთვება არა მხოლოდ სტრატეგიის შემუშავების დონეზე, არამედ ფინანსურ კონტრიბუციასაც აკეთებს სახელმწიფოსთან ერთად, რომ დაარსდეს კოლეჯი კონკრეტული პროფესიული მიმართულებით; განათლების პროცესში ერთვება პრაქტიკული უნარების განვითარების თვალსაზრისითაც, რომ გარანტირებულად მიიღოს კვალიფიციური კადრები. მაგალითად, M2-თან თანამშრომლობით დაარსებული სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა გუდაურში და ზესტაფონის სამშენებლო კოლეჯი, BP-ს სასწავლო ცენტრი, ბათუმის სამშენებლო კოლეჯი, ერთობლივი კოლეჯი საქართველოს რკინიგზის ჩართულობით და სხვა. კონკრეტული ინტრესის გამოხატულების მაგალითია

სავალდებულო ხასიათს, თუმცა საქართველოში ხელს უწყობს რეპუტაციის გამყარებას და ექსპორტირებული თხილის ფასის ზრდას.

[18] ექსტენციის სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული (ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული) 54 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი უნდა ჩამოყალიბდეს ფერმერთა საჭიროებებზე ორიენტირებულ ექსტენციის სამსახურებად. ამასთან, აუცილებელია სამინისტროს შესაბამისი რეორგანიზაცია. ორივე კომპონენტს ესაჭიროება საკანონმდებლო ცვლილება. სტრატეგიის განხორციელება დაგეგმილია 2018-2019 წლებში, ორ ეტაპად, სისტემის საპილოტე რეგიონებში დანერგვით.

მსხვილი ბიზნესის ჩართულობა ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების პოლიტიკაში, კერძოდ, რუსთავცემენტის, რომლის უშუალო ინტერესი იყო საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, თუმცა, ამ შემთხვევაში, რუსთავცემენტის მონაწილეობა შემოიფარგლა მხოლოდ ადვოკატირებით და რაიმე სახის ფინანსური კონტრიბუცია მისი მხრიდან არ გაკეთებულა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არასამთავრობო ორგანიზაციების, ისევე, როგორც უნივერსიტეტების, ან ბიზნესის დარგობრივი ასოციაციების ჩართულობას დიდწილად განაპირობებს დაფინანსების არსებობა/არარსებობა. უმეტეს შემთხვევაში, სამოქალაქო აქტორების მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავების ეტაპზე ინტენსიურია, თუ კონკრეტული პროექტი დაფინანსებულია საერთშორისო დონორის მიერ და „ჩართულობის" ან „კონსულტაციების" აქტივობები პროექტის მიხედვითაა გაწერილი. ეს, გარკვეულწილად, ბუნებრივია, რადგან საქმიანობა ხარჯებთნაა დაკავშირებული, როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური რესურსის თვალსაზრისით, თუმცა, ხელს უშლის მდგრადი ინსტიტუციური თანამშრომლობის ჩამოყალიბებას შესაბამის საჯარო უწყებებთან და საქმიანობის პრიორიტეტულის სფეროს განსაზღვრის დროსაც გარკვეულ შეზღუდვებს გულისხმობს, კონკრეტული დონორის ინტერესების მიხედვით.

მონაწილეობასა და ჩართულობაზე ზეგავლენას ახდენს ასევე საერთაშორისო პარტნიორების უშუალო დახმარება, კერძოდ:

საქართველოს 2013-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის შემუშავება და განხორციელება თანხვედრშია ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიმდინარე და დაგეგმილ თანამშრომლობასთან, მათ შორის, ევროკავშირის საბიუჯეტო და სექტორული დახმარების პროგრამასთან. შესაბამისად, პროგრამის შემუშავების პროცესში საერთაშორისო პარტნიორებმა უზრუნველყვეს როგორც უწყებათაშორისი კოორდინაცია, ასევე შესაბამისი დარგობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების/ექსპერტთა ჩართულობა, შვიდი თემატური მიმართულებების ქვეჯგუფების საშუალებით. ჩართულობა გულისხმობდა დოკუმენტის კონცეფციისა და შინაარსის განხილვებს, მოსაზრებების დაფიქსირებას, ასევე კომენტარებს. პროგრამის შემუშავების საწყის ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა „დიაგნოსტიკური ანგარიში", რომლის საფუძველზე მომზადდა სტრატეგიული რეკომენდაციები პროგრამის შესამუშავებლად.. ამასთან, პროგრამის დამტკიცებას მოჰყვა სახელმწიფო #1750 განკარგულება, რაც წარმოადგენს 2013-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის შესაბამისი რეგიონის (სამხარეო) სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელოს (იხ. შესაბამის თავში). ამ პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა (სამხარეო) რეგიონის განვითარების სტრატეგიების შექმნა, რომლის შემუშავებაში მეტ-ნაკლები წარმატებით ჩართულნი იყვნენ საზოგადოებრივი აქტორები. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის ცნობით, მხოლოდ გეგმების შემუშავების საბოლოო ეტაპზე,

დონორთა წახალისებით, მოხდა სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის (R-CSN)[19] წევრების ჩართულობა. ამ პროცესში R-CSN- ის წევრები დადიოდნენ რეგიონებში და მოსახლეობას აცნობდნენ პროგრამის პრიორიტეტებს, აგროვებდნენ იდეებს და აწვდიდნენ ხელისუფლებას. იდეების გარკვეული ნაწილი აისახა სამოქმედო გეგმებში.

ENPARD პროექტის ფარგლებში შემუშავებული 2017-2020 წლებისთვის სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების ყველა ეტაპს ევროკავშირი კურირებს. სტრატეგია დამყარებულია ევროკავშირის მოდელზე და მიზნად ისახავს განვითარების ინსტიტუციური მოწყობის ევროპული მოდელით ჩამოყალიბებას. პროექტზე ვრცელდება ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებები, მათ შორის, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის კუთხით. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა დარგობრივი მიმართულების ექსპერტების, სასოფლო-სამეურნეო აკადემიისა და ფერმერული მეურნეობების/მცირე ბიზნესების მონაწილეობით.

სტრატეგიის შექმნაში არ იყვნენ ჩართულნი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები სტრატეგიის საბოლოო (მიღების) ეტაპამდე, როცა, სამინისტროსა და დონორთა თხოვნით, სამოქალაქო ორგანიზაციათა ქსელის წარმომადგენლებმა ჩაატარეს 2 საკონსულტაციო შეხვედრა თბილისსა და ქუთაისში ფერმერების, არასამთავრობოების, თვითმმართველობების და სხვა წარმომადგენელთა მონაწილეობით. კონსულტაციების შედეგად შეიქმნა „სოფლის განვითარების სტრატეგიის კონსულტაციის დოკუმენტი“, სადაც აისახა მონაწილეთა შეხედულებები და მოსაზრებები. პროექტის განხორციელების დაწყებამდე, ევროკავშირის პარტნიორების (FAO, CARE, UNDP და სხვ.) დახმარებით, მუნიციპალიტეტებში ჩატარდა ფართო საინფორმაციო კამპანია, ასევე სამოქმედო გეგმების განხილვა. სტრატეგიის შემუშავების პროცესის პარალელურად, ევროკავშირის დახმარებით საპილოტე მუნიციპალიტეტებში იქმნებოდა „ადგილობრივი განვითარების ჯგუფები“ (Local Action Groups, LAG), რაც ეფუძნება LEADER მიდგომის პრინციპებს[20] და გულისხმობს რეგიონში აქტიურ ადამიანთა გაერთიანებას/მობილიზებას ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად.

ცხადია, რომ რეგიონული პოლიტიკის შემუშავების პროცესში არასამთავრობო სექტორის ჩართულობაზე დიდ ზეგავლენას ახდენენ საერთაშორისო დონორთა მიერ დაფინანსებული ადვოკატირების პროექტები. ამ კუთხით, აღსანიშნავია საქართველოს რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობის ამაღლებაზე მიზანმიმართული სახელმწიფო პროექტის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო გრანტების დაფინანსების პროგრამის შემუშავების პროცესი, რომელიც შემოთავაზებულ იქნა ადვოკატირების პროექტის ფარგლებში

[19] ქსელი მოიცავს 40-მდე არასამთავრობო ორგანიზაციას საქართველოს ყველა რეგიონიდან

[20] **LEADER** პროგრამა („სოფლის ეკონომიკის განვითარებისთვის საქმიანობების დაკავშირება“ (ფრანგ) წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას ადგილობრივ დონეზე ინიცირებული სოფლის განვითარების პროექტების მხარდასაჭერად, სოფლების გასაცოცხლებლად და სამუშაო ადგილების შესაქმნელად

არასამთავრობო სექტორის კოალიციის მიერ[21]. არსებული პროექტის ძირითადი მექანიზმი სრულად იმეორებს არასამთავრობო სექტორის მიერ შეთავაზებულ მოდელს[22].

საჯარო კერძო პარტნიორობის პროექტები (PPP), როგორც წესი, ორიენტირებულია მსხვილი ბიზნესის ჩართულობაზე. ახალი კანონმდებლობის ამჟამინდელი შემუშავების პროცესში ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური ანალიზის და რეფორმების დეპარტამენტი ახდენს ერთიან საკანონმდებლო სივრცეში საჯარო კერძო პარტნიორობის პროექტების მოქცევას. ამის საჭიროება გამოიწვია რეგიონული მნიშვნელობის მასშტაბური პროექტების განხორციელების საჭიროებამ, რომელიც დიდი ინვესტიციების შემოსვლას და მსხვილი ბიზნეს მოთამაშეების ჩართულობას ითვალისწინებდა. შემუშავების ეტაპზე ჩართულობა განისაზღვრა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მონაწილეობითა და კონსულტაციებით (EBRD, ADB, IMF), საერთაშორისო იურიდიული ფირმის, Hogan Lovells-ის, და ქართული იურიდიული კომპანია დეკერტ ჯორჯიას მონაწილეობით, რომელიც ამ შემთხვევაში მსხვილი ბიზნეს ერთეულების ინტერესთა წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს. თავად კერძო ბიზნესის ჩართულობა სამუშაო პროცესში არ არის გათვალისწინებული, რადგან, საჯარო უწყებების წარმომადგენელთა აზრით, ეს კანონი სახელმწიფოს ვალდებულებებს განსაზღვრავს კერძო პარტნიორის მიმართ და აყალიბებს მისთვის შეთავაზებას, შესაბამისად, წესების დადგენაში კერძო მხარის შემოყვანა არ ჩაითვალა მიზანშეწონილად და მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ორი კერძო საკონსულტაციო კომპანიით შემოიფარგლა. ამ გადაწყვეტილებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ დღეს საქართველოში მხოლოდ ორი-სამი კერძო კომპანია არსებობს, რომელსაც PPP პროექტების განხორციელების გამოცდილება და შესაძლებლობა აქვს, რომლებიც თავადაც გარე კონტრაქტირებით ახორციელებენ მსგავსი მასშტაბის პროექტებს. რეალურად, კერძო სექტორის ჩართულობა ხდება პროექტის შერჩევის ეტაპზე, და ასევე განხორციელების დროს საჯარო სექტორთან მოლაპარაკების და კონკრეტული პროექტის ტექნიკური დეტალების დაზუსტების დროს. რაც შეეხება ბიზნესის, როგორც დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას პროექტთან დაკავშირებით,

საინტერესოა ასევე, რომ პრობლემები, რომელთა დარეგულირებაც კანონმა თავის თავზე აიღო, PPP პროექტების განხორციელების არსებულ გამოცდილებას ეფუძნება, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, თუნდაც პრობლემების იდენტიფიცირების დროს, კერძო ბიზნესის ჩართულობა ან საჭიროებების განსაზღვრა არ მომხდარა.

---

[21] კონსულტაციისა და ტრეინინგის ცენტრი (CTC), სათემო (CDC) და GMSEM

[22] ცალკეულ პროექტებში გათვალისწინებულია ასევე BP-ს ანალოგიური პროექტების მექანიზმი

პოლიტიკის განხორციელება

დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და ანალიზი

პოლიტიკის განხორციელების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და ანალიზი გვხვდება რეგიონულ დონეზე, სახელმწიფოსა და კერძო სექტორებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ცალკეული (არსებული ან დაგეგმილი) პროექტების შემთხვევაში. ასეთი პროექტების უმეტესობა საპილოტე რეჟიმში ხორციელდება, თუმცა საწყის ეტაპზევე საკმარისი ყურადღება ეთმობა დაინტერესებულ მხარეთა რესურსებისა და ფუნქციების, ასევე პროექტის ღირებულების გააზრებას. ამ უკანასკნელის ილუსტრაციაა, მაგალითად, კახეთის მუნიციპალიტეტში წამოწყებული საჯარო-კერძო პარტნიორობის პროექტი, რომლის შედეგად უნდა შეიქმნას უპატრონო ცხოველთა მართვის ცენტრი (იხ. შესაბამის თავში). ცენტრის შესახებ იდეის დამუშავებისას, გააზრებულ იქნა როგორც პროექტის ღირებულება, ასევე ბიზნესისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების რესურსები და ფუნქციები.

ინსტიტუციური პარტნიორობა დაინტერესებულ მხარეებთან

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის (2014) შესაბამისად, დღეს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში შექმნილია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები, რომლებშიც შედიან სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები. მრჩეველთა საბჭოების შექმნა დაიწყო საპილოტე რეჟიმში (2011-2012 წლებში, 2 მუნიციპალიტეტში) და ამ პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა ადგილობრივი (სამხარეო) სტრატეგიების შემუშავება. საბჭოების შექმნას კოორდინაციას უწევდა სამინისტრო, დონორთა დახმარებით. მრჩეველთა საბჭოები მეტი ან ნაკლები წარმატებით ფუნქციონირებენ. ამასთან, გამოკითხულთა როგორც სახელმწიფო, ასევე სამოქალაქო აქტორების უმეტესობის მიერ სახელდება მექანიზმის აღსრულების ნაკლოვანებები. თუკი სახელმწიფო აქტორები ხაზს უსვამენ მოსახლეობის აქტიურობის დაბალ დონეს, სამოქალაქო აქტორების უმეტესობა აღნიშნავს მრჩეველთა საბჭოების უფლებამოსილების დაბალ დონეს,ფორმალურობას, საკრებულოს ფუნქციების გადაფარვას, ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების საბჭოში მოხვედრის მაღალ ალბათობას და სხვა.

მცირეა თვითმმართელობის დონეზე ჩართულობის მასშტაბიც. მაგალითად, თვითმმართველობის კოდექსის მიერ სოფლის საერთო კრების მექანიზმის გამოყენებას მხოლოდ ცალმხრივი და ფორმალური ხასიათი აქვს (მოსახლეობის პერიოდული შეკრება და "ინფორმირება" ადმინისტრაციის მხრიდან) და არ გვხვდება მოსახლეობის (არა ნაკლებ 5%-ს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2014)) ინიციატივით ამ უფლების ინსტიტუციური ამოქმედება. ამასთან, სამოქალაქო ჩართულობის ექსპერტის აზრით, „თვითმმართველობას არ აქვს უნარი და ჩვევა გამოიყენოს ეს ჩართულობა და მიღებული გადაწყვეტილებების

ადეკვატური შესაბამისობა უზრუნველყოს მოსახლეობის ინტერესებთან“.. არასამთავრობო სექტორი კი, თავის მხრივ, ანგარიშვალდებულია დონორის და არა მოსახლეობის წინაშე. რაც შეეხება ბიზნესის შედარებით მაღალ ჩართულობას, მას პრაგმატული ინტერესი განაპირობებს. ბიზნეს სექტორის წარმომადგენლის თქმით, ბიზნესს არ სჭირდება ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა სოციალური პარტნიორობა და სხვა. შესაბამისად, ის ლობირებს კონკრეტულ ინტერესს, თუმცა, ნაკლებია მისი დაინტერესება პოლიტიკის ფორმირებასა თუ განხორციელებაში მონაწილეობისა. უნდა ითქვას ისიც, რომ რეგიონის დონეზე ხშირად თავად ხელისუფლების წარმომადგენელი არის მსხვილი ბიზნესის მფლობელი. მცირე და საშუალო ბიზნესის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოებაა ისიც, რომ ფერმერი გათავისუფლებულია მიწის გადასახადისგან, რაც დიდწილად ამცირებს მის აქტიურობას და საკუთრი როლის აღქმას რეგიონული პოლიტიკის განვითარებაში.

მონაწილეობის წარმატებული მოდელია სოფლის განვითარების სტრატეგიის (2017-2020) განხორციელების შესაბამისად საქართველოს ყველა რვა საპილოტე მუნიციპალიტეტში ამოქმედებული მოქალაქეთა თვითმმართველი ჯგუფები, „ადგილობრივი განვითარების ჯგუფები“ (Local Action Groups, LAG), რომლებშიც საზოგადოებრივ საწყისებზე მონაწილეობენ კერძო , საჯარო და ასევე არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლები. ევროკავშირის დახმარებით, კონკურსის საფუძველზე შემდგომი დაფინანსების მიზნით, ჯგუფები მუშაობენ მოცემული სოფლის მეურნეობის სტრატეგიაზე, ადგილობრივი საზოგადოების მიერ გამოყოფილ პრიორიტეტებზე დაყრდნობით ახდენენ ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და უზრუნველყოფენ განხორციელებას. ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ფუნქციონირება შეფასებულია წარმატებულად და ეფექტურად როგორც ხელისუფლების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ. განხორციელებული პროექტების ფარგლებში დაკმაყოფილდა ისეთი საჭიროებები, როგორიცაა, მაგალითად, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ტურისტებისთვის მოსასვენებელი ადგილის მოწყობა, მუნიციპალური სკვერის მოწყობა და სხვა.

ასეთივე ჩართულობის წარმატებულ მაგალითად შეიძლება მოვიაზროთ ცალკეული (უფრო მეტად საშუალო და მსხვილი) ბიზნესის მონაწილეობა პროფესიული სწავლების პოლიტიკის განხორციელებაში. მიუხედავად ამისა, ეს ჩართულობა ფრაგმენტულია და თავად ბიზნესები (ამ შემთხვევაში რეგიონებში არსებული სასტუმრო კომპლექსების წარმომადგენლები) საჯარო სექტორთან თანამშრომლობას მეტად არაეფექტურად ახასიათებენ. აღნიშნავენ, რომ საჯარო უწყების ინიციატივები უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს და ნაკლებადაა შედეგზე ორიენტირებული. მეტიც, ასეთი ცალკეული ბიზნეს ერთეულის ინიციატივები, როგორც წესი, უპასუხოდ და უყურადღებოდ რჩება და ბიზნესს თავად უწევს რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება და პარტნიორობის შექმნა სხვა ბიზნეს ერთეულებთან.

რეგიონული პოლიტიკის განხორციელების პროცესში ბიზნესის წასახალისებლად, მსოფლიო ბანკის დახმარებით, საქართველოს რამდენიმე რეგიონში წამოწყებულია სახელმწიფოსა და

ბიზნესს შორის თანამშრომლობის პროგრამა, „დესტინაციის მენეჯმენტის ორგანიზების“ (Destination Management Organization (DMO)[23] პრინციპებზე დაყრდნობით. პროგრამის ფარგლებში, მაგალითად, კახეთის ადმინისტრაციამ და ტურიზმის ეროვნულმა დეპარტამენტმა წამოიწყეს თანამშრომლობა ადგილობრივ ტურ-ოპერატორებთან და სხვა სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, კახეთში ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად. პროცესი ინიცირებულია კახეთის განვითარების სააგენტოს მიერ და გამომდინარე იქიდან, რომ უპატრონო ცხოველების რეგულირება განიხილება ტურიზმის ხელშეწყობის ერთ-ერთ მექანიზმად, თანამშრომლობის ერთ-ერთი მიმართულებაა უპატრონო ცხოველთა მართვის ცენტრის შექმნა, სადაც დაგეგმილია ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობა. თანამშრომლობა გულისხმობს სახელმწიფოს დახმარებით ცხოველთა კერძო თავშესაფრის შექმნას, სადაც სამოქალაქო აქტორებს ეკისრებათ საექსპერტო და საინფორმაციო უზრუნველყოფის ფუნქცია. ამ საპილოტე პროგრამის შედეგად კახეთის ადმინისტრაცია ვარაუდობს კერძო სექტორთან თანამშროლობის უპირატესობებისა და გამოწვევების გამოვლენას შემდგომი თანამშრომლობითი პროექტების განხორციელებისთვის.

ზემოხსენებული საქმიანობა წარმოადგენს გუბერნატორის ადმინისტრაციის, როგორც პროექტების რეკომენდატორის, ასევე შუამავლის როლს მუნიციპალიტეტებში მიზნობრივი პროექტების ინიციირებისა და განხორციელების საქმეში. ამ ტიპის პროექტები განიხილება და იგეგმება გუბერნატორთან არსებულ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს შესაბამისი სამუშაო ჯგუფების მეშვეობით, სადაც ჩართულნი არიან არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები. მაგალითად, კახეთის გუბერნატორის თქმით და კახეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის დადასტურებით, კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია გარკვეული პერიოდულობით მართავს კონსულტაციებს სამუშაო ჯგუფებთან ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია, სივრცითი განვითარება და სხვა.

რეგიონული საგანმანათლებლო ინსტიტუციების რეგიონული პოლიტიკის პროცესში ჩართულობა, უმეტეს შემთხვევაში, არ წარმოადგენს უნივერსიტეტის ადგილობრივ მოთამაშედ აღიარების შედეგს. რეგიონული უნივერსიტეტების წარმომადგენლების მოსაზრებით, რეგიონული პოლიტიკის პროგრამებთან ან პროექტებთან მიმართებაში უნივერსიტეტების აზრით მეტად ინტერესდება ადგილობრივი მედია, ვიდრე ხელისუფლება, რაც აისახება აკადემიის წარმომადგენლების ხშირ სტუმრობაში ადგილობრივ ტელევიზიებში მოცემულ საკითხზე სამსჯელოდ. შესაბამისად, რეგიონული პოლიტიკის განხორციელებაში

[23] დესტინაციის მენეჯმენტის ორგანიზება მოიცავს მოცემული რეგიონის/ადგილმდებარეობის ყველა ელემენტს (მიმზიდველობა. ხელმისაწვდომობა, კოორდინირება, მარკეტინგი, ადამიანური რესურსები, იმიჯი და ღირებულება) და წარმოადგენს ამ განცალკევებული ელემენტების დასაკავშირებელ სტრატეგიულ მიდგომას, მოცემული ადგილის გაუმჯობესებული მმართველობისთვის (World Tourism Organization n/d).

უნივერსიტეტის ჩართულობა დიდადაა დამოკიდებული მუნიციპალიტეტის/რეგიონის ხელმძღვანელი პირების კერძო გამოცდილებზე უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. მაგალითად, ქუთაისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტებში წარმოდგენილნი არიან უნივერსიტეტების ყოფილი ან ამჟამინდელი პროფესორები, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კავშირებს. მიუხედავად ამისა, ეს კავშირები წმინდა საკონსულტაციო/საინფორმაციო და არა თანამშრომლობით ხასიათს ატარებს. გვხვდება უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობის მაგალითები გუბერნატორტან არსებულ ადგილობრივ საკონსულტაციო საბჭოებში, სადაც განიხილება რეგიონში საკვლევი თემები ან სტრატეგიები, პრიორიტეტების დოკუმენტების შესამუშავებლად. ასევე გვხვდება უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებული კონფერენციები და მოქალაქეთა ფორუმები, სადაც განიხილება რეგიონული სტრატეგიის მიმართულებები და სხვა. უნივერსიტეტი, თავის მხრივ, მიჰყვებიან ტრადიციულ მოდელს და საკუთარი სასწავლო და კვლევითი პროგრამების ფარგლებში ახორციელებენ ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, პროფესიული განათლებისა და სხვა მიმართულებებით პროექტებს და კვლევების შედეგებს აცნობენ ხელისუფლებას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, გვხვდება უნივერსიტეტის ე.წ. კომერციონალიზაციის ხედვა, მაგალითად, კახეთის მუნიციპალიტეტში. თელავის უნივერსიტეტის მეტად მორგებისთვის ადგილობრივ საჭიროებებზე, კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია მუშაობს განათლების სამინისტროსთან, რათა ტრადიციულ სასწავლო მიმართულებასთან ერთად, თელავის უნივერსიტეტში განვითარდეს სოფლის მეურნეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის გამოყენებითი მიმართულებები. უნივერსიტეტის ბაზაზე დაგეგმილია ისეთი სისტემის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს კახეთის სოფლის მეურნეობისა და მეღვინეობის პოტენციალის სრულფასოვან გამოყენებას, მეცნიერული მიდგომის გამოყენების, კვალიფიცირებული კადრების გაზრდისა და საცდელი მეურნეობების ამოქმედების ჩათვლით.

უნივერსიტეტის ჩართულობის წარმატებულ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თანამშრომლობა გორის უნივერსიტეტთან რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პროგრამის ფარგლებში, სადაც ხდება ყველის წარმოების ტექნოლოგიის სწავლება, ხოლო შესაბამისი აკადემიური პერსონალი ჩართულია პროგრამის განვითარებაში.

რეგიონული პოლიტიკის განხორციელების პროცესში მეტად იკვეთება სამოქალაქო აქტორების **ჩართულობა**, როგორც სახელმწიფო, ასევე დონორთა მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში. ამ ტიპის სახელმწიფო პროგრამის მაგალითია „აწარმოე საქართველოში“, სადაც „სახელმწიფო-შუამავალი-ბენეფიციარი“ სისტემა მართებულადაა აწყობილი, რაც იძლევა როგორც დახმარების, ასევე მონიტორინგის, შეფასებისა და უკუგების საშუალებას. მცირე გრანტების კომპონენტი ხორციელდება ოთხი (რეგიონების მიხედვით) სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებული შუამავალი კერძო (შპს) და არასამთავრობო (ა(ა)იპ) ორგანიზაციის დახმარებით, რომლებიც ახდენენ სამეწარმეო პროექტების პირველად

გადარჩევას და ზედამხედველობას უწევენ დაფინანსებულ პროექტებს.[24] პროგრამის ფარგლებში, შუამავალი ორგანიზაციები ატარებენ სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო კამპანიებს (რეკლამა, ადგილობრივი ტელევიზია, კარ-და-კარი, საინფორმაციო ბუკლეტებისა და ბროშურების გავრცელება, უშუალო შეხვედრები სოფლებში არსებულ თავშეყრის ადგილებზე და სხვა). საუკეთესო პროგრამების შესარჩევად ჩამოყალიბებულია დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი, რომელშიც შედიან არასამთავრობო სექტორის, აკადემიური წრეებისა და ბიზნესის წარმომადგენლები. მათი და სხვა ექპერტების გამოყენება (ტექნიკური დახმარება) ასევე ხდება ბენეფიციართა ტრეინინგებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების დროს. ამასთან, შუამავალი ორგანიზაციები ბენეფიციართა „ჩართულობას“ აიგივებენ თავად პროგრამაში მონაწილეობასთან და „ჩართულობის“ გაზრდას უკავშირებენ მონაწილეობის კუთხით გააქტიურებას.[25] სახელმწიფოს მხრიდან ბენეფიციარებისთვის საერთო გამოფენის მოწყობა, კონფერენციებზე, სატელევიზიო ეთერებსა და სხვა ღონისძიებებზე მიწვევა ასევე ნაგულისხმებია, როგორც „ჩართულობის ხელშეწყობა“. ამასთან, მცირე მეწარმეების შეფასებით, ასეთ ხელშეწყობას ფორმალური ხასიათი აქვს და ხშირად საჯარო უწყება (სამინისტრო ან შესაბამისი სააგენტო) მას მხოლოდ დონორთან ან ზემდგომ უწყებასთან ანგარიშგების მიზნით ატარებს, უმეტეს შემთხვევაში, ასეთი ღონისძიებების ჩატარებისას არ არის გათვალისწინებული მონაწილე ბიზნეს ერთეულების ინტერესები, საქმიანობის სპეციფიკა, არ არის შერჩეული განხორციელების ადეკვატური და ეფექტური გზები და სარგებელიც ბიზნესისათვის ძალიან მცირეა ან საერთოდ არ არსებობს. რეალურად არ ხდება არც მცირე მეწარმეების ცნობადობის ზრდა და არც მათი პროდუქციის პოპულარიზაცია.

როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები საკმაოდ პროდუქტიულად აფასებენ თანამშრომლობას ადგილობრივ დონეზე ახალი საჭიროებების წამოწევის, განხილვისა და განხორციელების საუკეთესო გზების მოძიების კუთხით ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა წითელი ჯვარი, ელკანა, CENN და სხვა. ასეთ თემებს მიეკუთვნება, მაგალითად თუშეთის განვითარება, ქარსაფარების განვითარება, ნიადაგის მოწესრიგება, დაცული ტერიტორიების რეგულირება და სხვა.

პოლიტიკის უკუგება და მონიტორინგი

რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში სახელმწიფო უწყებები, დონორთა დახმარებით, შეიმუშავებენ მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორებს. მაგალითად, 2013-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამაზე დაყრდნობით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა

[24] მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია იხილეთ შესაბამის თავში

[25] საწყის ეტაპზე მონაწილეთა მოზიდვა პრობლემური აღმოჩნდა, რაც, სხვასთან ერთად, განპირობებული იყო სახელმწიფო პროგრამების მიმართ უნდობლობით (ინტერვიუდან შუამავალი ორგანიზაციის წარმომადგენელთან, 2018 წლის თებერვალი)

პროგრამის შესრულების ინდიკატორები, სამი წლის ვადით. შესაბამისად მომზადდა მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო, რომელიც შეიცავს კონკრეტულ ამოცანებს. მიუხედავად ამისა, რეგიონის დონეზე ინდიკატორების მიხედვით მონიტორინგი და შეფასება არ გვხვდება.

ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს ასევე დაინტერესებული მხარეების უკუგება, რომლის ეფექტურობა გულისხმობს არა მხოლოდ დაინტერესებულ მხარეებზე ინფორმაციის მიწოდებას, არამედ მათგან ინფორმაციის შეგროვებას, ამ ინფორმაციის კლასიფიცირებასა და აღწერას, ასევე ანგარიშგებას ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე სხვადასხვა (მათ შორის ელექტრონული) საშუალებებით.

გვხვდება ელექტრონული უკუგების წახალისების მაგალითები, როგორიცაა, მაგალითად, სოფლის მეურნეობის სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებრივი დარბაზის ფარგლებში ამოქმედებული ვებგვერდი, სადაც ათავსებენ DCFTA-ს ფარგლებში განსახორციელებელ კანონპროექტებს. მექანიზმი მიზნად ისახავს დაინტერესებული მხარეებისგან უკუგებას, თუმცა პროცესი საკმაოდ მდორედ მიმდინარეობს, რაც, მეტწილად, დაინტერესებული მხარეების ნაკლები აქტიურობითაა განპირობებული. ასევე აღსანიშნავია IDFI-სთან თანამშრომლობით, **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის (2017-2020 წწ.) 2017-2018 წწ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ელექტრონული რესურსის ამოქმედება** (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული ფორმა და პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის მექანიზმი[26]). მსგავსი სისტემის დანერგვა ასევე დაგეგმილია სამინისტროს სისტემაში და მართვაში არსებულ სუბიექტებში, რომელთა ვებგვერდებს დაემატება მოქალაქეებთან კომუნიკაციის და მათი ჩართულობის გაუმჯობესებაზე მიმართული ფუნქციები. ორივე შემთხვევაში, ელექტრონული რესურსები დონორთა დახმარებით ამოქმედდა, თუმცა პროგრამა არ ითვალისწინებდა კომუნიკაციის ამ საშუალებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, ან დაინტერესებულ მხარეთა მიზნობრივ ჩართულობას მომხმარებელთა „აუდიტორიაში“.

პროგრამის განხორციელების ფარგლებში გაწეული მომსახურების ეფექტურობის, ინტეგრირებულობის, ხარისხისა და დროულობის, ასევე ხარჯების, მიზნობრიობისა და სხვ. უკუგება და მონიტორინგი მეტად გვხვდება იმ სახელმწიფო პროექტებში, სადაც პროექტის განხორციელება და მონიტორინგი დელეგირებულია შუამავალ არასამთავრობო ორგანიზაციაზე. მოცემულ შემთხვევაში, სსიპ-ს „აწარმოე საქართველოში“[27], შუამავალი კერძო ან არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით აქვს საშუალება, მუდმივი კავშირი ჰქონდეს ბენეფიციარებთან, დაადგინოს ბენეფიციართა საჭიროებები და მიაწოდოს ხელისუფლებას,

---

[26] საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ფორმა ხელმისაწვდომია მისამართზე http://www.mrdi.gov.ge/ge/public-info, ხოლო პირდაპირი კომუნიკაციის მექანიზმი შემუშავების პროცესშია

[27] 2017 წლის აპრილიდან სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ნაცვლად შეიქმნა ახალი სსიპ "აწარმოე საქართველოში"

პროგრამის ბენეფიციართა საჭიროებებზე მორგების მიზნით. შუამავალი ორგანიზაციის მიერ დღემდე გამოვლენილი საჭიროებები მეტად ტექნიკური ან/და სამართლებრივი ხასიათისაა (ბენეფიციართა იურიდიული სტატუსი) და არ მოიცავს პროგრამის პრიორიტეტებს ან განხორციელების მექანიზმებს[28]. მიუხედავად ამისა, კვლევის ფარგლებში გამოვლინდა პროგრამის ბენეფიციართა დამატებითი საჭიროება, რაც უკავშირდება სახელმწიფო პროგრამების კოორდინაციის ნაკლებობას და გულისხმობს ბენეფიციართა დროულ ინფორმირებას საწარმოების სტანდარტების შესახებ, ჯარიმების თავიდან აცილების მიზნით, ასევე სახელმწიფო შესყიდვებში (რეგიონულ დონეზე) პროექტების ბენეფიციარების ჩართულობას[29]. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის მონიტორინგისა და შეფასების ერთწლიანი ეტაპი, რაც, სხვასთან ერთად, ითვალისწინებს კვლევას, რომელიც გამოავლენს პროგრამის დადებით და უარყოფით მხარეებს და მიზნად ისახავს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის დახვეწას.

2018 წლის იანვარში, "ღია მმართველობის პარტნიორობის" ფარგლებში და დაინტერესებული მხარეების მხრიდან უკუგებისა და სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგის მიზნით შეიქმნა მთავრობის პეტიციების პორტალი ichange.gov.ge. პორტალის საშუალებით ნებისმიერ მოქალაქეს აქვს საშუალება დარეგისტრირდეს და წარადგინოს პეტიცია საკითხზე, რომელიც მთავრობის კომპეტენციაში შედის. პორტალის ამოქმედებით მთავრობას გაუჩნდა პეტიციაზე რეაგირების (ოფიციალური პასუხის გაცემის) ვალდებულება[30].

საპილოტე პროექტების ფარგლებში ელექტრონული პეტიციები უკვე დანერგილია რამდენიმე მუნიციპალიტეტში, თუმცა მათი ეფექტურობა ძალიან დაბალია. არ ხდება მოსახლეობის ინფორმირება ელექტრონული ჩართულობის ამ ფორმის ხელმისაწვდომობის შესახებ, რის გამოც პორტალი პრაქტიკულად არ გამოიყენება ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ.

აღსანიშნავია, რომ მთავრობა ნერგავს პოლიტიკის შეფასების მექანიზმს, რეგულირების გავლენის შეფასების სისტემას (egulatory Impact Assessment, RIA), რომელიც საკანონმდებლო

---

[28] მაგალითად, ერთ-ერთ შეზღუდვად სახელდება ვადებში შეზღუდვა. თუკი პოტენციური ბენეფიციარის პროექტის განხორციელება ვერ ესწრება იმ ვადებში, რაც დადგენილია შუამავალი ორგანიზაციისთვის (მონიტორინგისა და შეფასების ჩათვლით) - პროექტი ვერ ფინანსდება. ასეთი შემთხვევები გამოვლინდა ე.წ. „სეზონური ბიზნესების" შემთხვევაში

[29] ეკონომიკის სამინისტროს რეგიონში ერთ-ერთი ვიზიტის დროს ბენეფიციარები გამოთქვეს სურვილი, რომ პროგრამის მდგრადობის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების დროს გათვალისწინებულ იქნას პროგრამის ბენეფიციარების ნაწარმი/პროდუქტი (ვიდეო გადაღება, ბაღებისთვის სათამაშოები და სხვ.) (ინტერვიუდან ბენეფიციარებთან, 2018 წლის თებერვალი)

[30] პეტიციის წარდგენიდან და 10 000 ხელმოწერის შევსებიდან 3 კალენდარული თვის განმავლობაში.

ინიციატივის ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტებს აფასებს, და რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებულ რეგულირების გავლენის შეფასების ანგარიშებში, მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ კონსულტაციებს ეკავა. საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ RIA-ს პროცესში კონსულტაციები და ინტერვიუები გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორიცაა: საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი; ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი; ბიზნეს ასოციაცია; საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია; კერძო სექტორის წარმომადგენლებთან და ა.შ.

რეგულირების გავლენის შეფასების სისტემა, რომლის დანერგვაც აქტიურად მიმდინარეობს, ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეთა მაქსიმალურ ჩართულობას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია საჯარო კონსულტაციებით გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება. აღნიშნული ხელს უწყობს კარგად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას და უზრუნველყოფს გარე დაინტერესებული მხარეების უფრო ფართო სპექტრის ჩართულობას და მათი ინტერესების გათვალისწინებას.

რეგულირების გავლენის შეფასების ანგარიშებში იწერება ინტერვიუების და კონსულტაციების შედეგად მიღებული ინფორმაცია, ასევე საბოლოოდ რა იქნა გათვალისწინებული და რა არა. აღნიშნული პროცესი დაინტერესებულ მხარეებს სრული მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს, ამასთან, პოლიტიკის მიმართ მხარეებს ფლობის განცდას უჩენს.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ RIA-ს ანგარიშში გარკვეულწილად აისახა კონსულტაციების დროს მიღებული ინფორმაცია და შენიშვნები.

5.3. შეჯამება და დასკვნა

სამოქალაქო აქტორების რეგიონული პოლიტიკის პროცესში ჩართულობაზე და ხელისუფლებასთან ინტერაქციაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ყველა დაინტერესებული მხარის ძალაუფლების მასშტაბი და საქმიანობის სპეციფიკა, რაც დიდადაა განპირობებული ქვეყანის ისტორიულ-პოლიტიკური მემკვიდრეობით.

სახელმწიფო, რომელიც წლების მანძილზე ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებას, ბუნებრივად დგას სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გამოწვევის წინაშე. ეს მძაფრდება იმ გარემოებით, რომ, იგივე ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტები, მეტწილად, ასრულებენ მხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქციას, კერძო სექტორი ემსახურება მხოლოდ კერძო ინტერესებს, მოქალაქეთა აქტიურობა დაბალია, ხოლო მათი წარმომადგენელი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა დიდადაა

განპირობებული დონორთა მიერ დაფინანსებულ პროექტებით. შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეთა დაბალანსებული თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობის არსებობა და დაინტერესებულ მხარეთა როლის, ფუნქციებისა და ვალდებულებების განსაზღვრა და ყველა „მოთამაშის" მიერ გააზრება.

საქართველოში რეგიონული პოლიტიკის პროცესის ძირითადი აქტორები საჯარო სექტორის წარმომადგენლები არიან, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეებზე. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, რეგიონული პოლიტიკის შემუშავება ეროვნულ დონეზე ხორციელდება. რეგიონულ განვითარებაზე მიზანმიმართული პროექტები ორი ტიპისაა, სადაც ადგილობრივი (სამხარეო და მუნიციპალური) ხელისუფლება სხვადასხვა ინტენსივობითაა ჩართული: 1) ეროვნული პროექტები, რაც, ძირითადად, ფინანსდება მუნიციპალური განვითარების ფონდიდან (დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა მშენებლობა, რეაბილიტაცია, წყალმომარაგება, მელიორაცია და სხვა), სადაც ადგილობრივი ხელისუფლება მხოლოდ ირიბადაა ჩართული[31] და 2) რეგიონული პროექტები, რაც ხორციელდება უშუალოდ მუნიციპალიტეტების, გუბერნიისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება მეტად ინტენსიურადაა ჩართული (დაგეგმვა/შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი).

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული პრიორიტეტი დიდი ინფრასტრუქტურული პროექტებია, რეგიონული ფონდის მნიშვნელოვანი წილი განკუთვნილია ზემოხსენებული მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის. ეს აწესებს გარკვეულ ჩარჩოს და არ იძლევა „მომხმარებლის" მხრიდან განსხვავებული ინიციატივების წამოწევისა და შესაბამისი დაფინანსების საშუალებას.

სამხარეო ადმინისტრაცია თავად არ შეიმუშავებს სტრატეგიებს და არ გააჩნია პროგრამული ბიუჯეტი, რაიმე პროგრამის ან პროექტის თანადაფინანსების უზრუნველსაყოფად. სამხარეო ადმინისტრაცია აკავშირებს და შუამავლობას/რეკომენდაციებს უწევს ადგილობრივსა და ცენტრალურ ხელისუფლებას, მუნიციპალიტეტებს, ბიზნესებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტებს კანონი ანიჭებს სტრატეგიის შემუშავების უფლებამოსილებას და მათ აქვთ პროგრამული ბიუჯეტები- პროცესი სრულად ცენტრალიზებულია. ადგილობრივ დონეზე პრიორიტეტულად მიჩნეული და ინიცირებული პროექტების განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ეროვნულ დონეზე. შესაბამისად, რეგიონული სამოქმედო გეგმები მოიცავს 2-3-წლიან პროექტებს და პირდაპირ ეხმიანებიან

[31] PPP კანონმდებლობის ამუშავების შემდეგ მუნიციპალიტეტების როლი ასეთ პროექტებში გაიზრდება - როგორც პროექტის ინიციატორების

რეგიონული ფონდის საბიუჯეტო კატეგორიებს. თუკი "ქვემოდან ზემოთ" მიწოდებული ბიუჯეტის პოტენციური კატეგორიები სრულად არაა თანხვედრაში ეროვნულ დონეზე შემუშავებულ ბიუჯეტთან- ინიციატივა არ ფინანსდება. ეს პირდაპირ ზეგავლენას ახდენს რეგიონული პოლიტიკის შემუშავების (და, გარკვეულ წილად, განხორციელებასა და მონიტორინგში) მონაწილეობაზე, რადგან როგორც რეგიონის ადმინისტრაციას/თვითმმართველობას, ასევე სამოქალაქო აქტორებს ზეგავლენის მხოლოდ პირობითი არეალი გააჩნიათ.

ჩართულობის ზემოქმედი ნორმატიული ბაზა

საქართველოს რეგიონული პოლიტიკის პროცესში ჩართულობაზე ზემოქმედ სამართლებრივ დოკუმენტებში (საერთაშორისო შეთანხმებების, ადგილობრივი კანონმდებლობის, სტრატეგიებისა და სხვ. ჩათვლით) გაჩნდა „დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისა და ჩართულობის" აღნიშვნა. მიუხედავად ამისა, არსებული დოკუმენტები არათანაბრად აღიარებენ სამოქალაქო აქტორებს და განსაზღვრავენ სამოქალაქო აქტორების როლს, ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს. ამასთან, მეტად იკვეთება პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ე.წ. არასამთავრო ორგანიზაციების და, ცალკეულ შემთხვევებში, ბიზნეს ასოციაციების „მოთამაშედ" აღიარება, ვიდრე აკადემიური წრეებისა. ეროვნულ დონეზე პოლიტიკის შემუშავების პროცესში სამოქალაქო აქტორების ჩართულობის განსაზღვრული მექანიზმი არ არსებობს, თუმცა ე.წ. „ასოცირების შესახებ შეთანხმება", როგორც საქართველოს ევროპული სწრაფვის ერთ-ერთი ძირითადი ჩარჩო-ხელშეკრულება, სამართლებრივად სავალდებულოდ ხდის. „დაინტერესებული მხარის, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და განსაკუთრებით, სოციალური პარტნიორების ჩართულობას პოლიტიკის განვითარებისა და რეფორმირების პროცესში" (EU-Georgia 2014).

ჩართულობის დეტალური მექანიზმები, როგორც ასეთი, განსაზღვრულია მხოლოდ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით (2014), თუმცა გარკვეულ დოკუმენტებში (მეტად სამოქმედო გეგმებსა და პოლიტიკის განხორციელების სხვა დოკუმენტებში) კერძო სექტორი აღიარებულია პოტენციურ ეკონომიკურ პარტნიორად, რომელზეც დელეგირებულია (ახლა ან მომავალში) პოლიტიკის განხორციელებისა და მონიტორინგის ფუნქცია. ამასთან, როგორც დაინტერესებულ მხარედ, ასევე „მოთამაშედ" ყველაზე ნაკლებადაა აღიარებული უნივერსიტეტი.

ჩართულობა პოლიტიკის შემუშავების პროცესში

რეგიონულ პოლიტიკაზე ზეგავლენის დოკუმენტების ან/და სტრატეგიების შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება ფრაგმენტულია, რაც აისახება პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში მათი ჩართულობის სიმცირეზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შემუშავების პროცესში მეტად არიან ჩართულნი შერჩეული

ინდივიდუალური დარგობრივი ექსპერტები, ვიდრე არასამთავრობო ან ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. ბიზნეს სექტორის მონაწილეობა შემოიფარგლება გარკვეული ინსტიტუციური საბჭოების წევრობით, ხოლო არასამთავრობო სექტორის აქტიურობას განაპირობებენ დონორთა დაფინანსებული პოლიტიკის ადვოკატირებისა და სხვა პროექტების აქტივობები.

სახელმწიფო უწყებების მიერ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფის ძირითადი მოტივატორია ევროკავშირის ტექნიკური და ფინანსური დახმარება, ასევე, გარკვეულწილად, ასოცირების შეთანხმების ზოგადი რეგულაცია. შესაბამისად, პოლიტიკის შესამუშავებლად ეროვნულ დონეზე გაჩნდა თანამშრომლობის ინსტიტუციური ფორმები (საბჭოები, საკონსულტაციო/სამუშაო ჯგუფები და სხვა) და გამოვლინდა გარკვეული ტენდენცია სამოქალაქო აქტორების მიპატიჟებისა შეხვედრებსა და კონსულტაციებზე. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო აქტორების ჩართულობა მეტად პოსტ ფაქტუმ - დოკუმენტების შემუშავების საბოლოო ეტაპზე ხდება, მეტად ინფორმირების ხასიათს ატარებს, ხოლო ამ ურთიერთობებს მეტად „გაცნობითი-საკონსულტაციო“ და არა პარტნიორობის ფორმა აქვთ, რაც პრატიკულად გამორიცხავს დოკუმენტზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენას.

პოლიტიკის შემუშავების პროცესში არასამთავრობო სექტორის ჩართულობა მეტად გულისხმობს არა თავად გეგმის შინაარსის შექმნაში მონაწილეობას, არამედ არსებული გეგმების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და მოსახლეობის მონაწილეობის წახალისებას. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციამ Cida, "საზოგადოების ცოდნის გაძლიერება და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობა რეგიონულ დაგეგმარებში“ პროექტის ფარგლებში[32], გამოსცა საქართველოს ექვსი რეგიონის რეგიონული განვითარების სტრატეგიის 2015-2017 წწ. სამოქმედო გეგმები, რასაც წინ უსწრებდა კონსულტაციები გაეროს განვითარების ფონდთან და საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროსთან, გამოცემის ფორმატის შესამუშავებლად.

ჩართულობა პოლიტიკის განხორციელების პროცესში

გამომდინარე სახელმწიფო პოლიტიკიდან, სადაც რეგიონული პოლიტიკის პრიორიტეტს დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები წარმოადგენს, ნაკლებად ჩნდება საჭიროება სამოქალაქო აქტორების გადაწყვეტილების მიღების ან განხორცილების ეტაპებზე ჩართულობისა. ამასთან, ე.წ. „ადგილობრივ პროექტების“ შემთხვევაში რეგიონის დონეზე

---

[32] აღნიშნული პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერითა და შვეიცარიის განვითარების სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) დაფინანსებით. მას ახორციელებს Cida და სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელი (R-CSN).

მეტი აქტიურობით გამოირჩევიან არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები (დონორთა მიერ დაფინანსებული რეგიონული პროექტების ფარგლებში).

მიუხედავად ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიერ განსაზღვრული ჩართულობის მექანიზმისა, ადგილობრივ დონეზე გამოიკვეთა პრობლემა ამ მექანიზმების რეალურად დანერგვის კუთხით, რაც გულისხმობს საბჭოების შეზღუდულ უფლებამოსილებას (და შესაბამის დაბალ აქტიურობას მოსახლეობის მხრიდან), ფორმალურობას, საკრებულოს ფუნქციების გადაფარვას, ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების საბჭოში მოხვედრის მაღალ ალბათობას და სხვა.

გარდა ზემოხსენებული საბჭოებისა, ადგილობრივ დონეზე გამოიკვეთა სხვადასხვა სამოქალაქო სათათბირო ორგანოების (არსებული ან დაგეგმილი) სიმრავლე, რაც პოტენციურად ხელს უწყობს ან უნდა შეუწყოს ხელი ადგილობრივი საზოგადოების გააქტიურებას. მიუხედავად ამისა, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, ასევე სხვადასხვა სტრატეგიებით გათვალისწინებული საბჭოები („სოფლის საბჭოები“, „ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები“, „ფერმერთა საბჭოები“ და სხვ.) არ წარმოადგენენ ერთი მიზნის მისაღწევი გეგმის შემადგენელ ერთეულებს. ამასთან, ბუნდოვანია ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი სათათბირო ერთეულების შემდგომი დაფინანსების პერსპექტივა. ერთმანეთის მსგავსი მექანიზმების გამოყენებამ სახელმწიფოსა და დონორების მხრიდან, ასევე შემდგომი დაფინანსების ბუნდოვანებამ შესაძლოა გამოიწვიოს ამ მექანიზმების ფორმალურობა, ეფექტურობის ნაკლებობა და დაშლა/გაუქმება, ეს კი გამოიწვევს საზოგადოებაში უნდობლობის გაღრმავებას. გამომდინარე აქედან, აუცილებელია სახელმწიფოსა და დონორთა ძალისხმევით გააქტიურებული მექანიზმების სინქრონიზაცია და თანმიმდევრული მიდგომა.

ადგილობრივ დონეზე ბიზნესი არ გამოირჩევა რეგიონული განვითარების მიზნით პოლიტიკის განხორციელების პროცესში აქტიურობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მკაფიოდ იკვეთება კონკრეტული ბიზნესის ინტერესი. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან გაჩნდა ბიზნესთან ეკონომიკური თანამშრომლობის ხედვა და მაგალითები, რომლის გააქტიურება და გაუმჯობესება შესაძლებელია ბიზნესებთან ეკონომიკური თანამშრომლობისა და პარტნიორობის კუთხით, როგორც დიდი ინფრასტრუქტურული, ასევე მცირე ადგილობრივი პროექტების ფარგლებში.

ამასთან, დღემდე რეგიონულ უნივერსიტეტებს უნარჩუნდებათ მხოლოდ საგანმანათლებლო/საინფორმაციო ფუნქცია, თუმცა ადგილობრივ ხელისუფლებაში ასევე გაჩნდა უნივერსიტეტის პროდუქტის ადგილობრივ საჭიროებაზე მორგების ხედვა, რამაც, შესაძლებელია დადებითი ზეგავლენა მოახდინოს უნივერსიტეტის ჩართულობასა და გააქტიურებაზე.

მონიტორინგი და შეფასება

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ სტრატეგიებში გვხვდება რეგიონული პოლიტიკის განხორციელების ინდიკატორები, რაც გამიზნულია პოლიტიკის მონიტორინგსა და შეფასებაზე, ეს გეგმები არ ვარაუდობენ მონიტორინგსა და შეფასებაში სამოქალაქო აქტორების ჩართულობას. ადგილობრივი (როგორც რეგიონული, ასევე მუნიციპალური) სტრატეგიების დონეზე კი მონიტორინგისა და შეფასების მოდელები არაა შემუშავებული. მონიტორინგისა და შეფასების ცალკეული შემთხვევები გვხვდება საერთაშორისო პარტნიორების მიერ უზრუნველყოფილ პოლიტიკის პროცესში, მეტწილად არასამთავრობო სექტორის დაფინანსების გზით. გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროექტი „აწარმოე საქართველოში“, სადაც მართვისა და დახმარების ბერკეტები დელეგირებულია შუამავალ კერძო ან არასამთავრობო ორგანიზაციაზე, ქმნის მნიშვნელოვან გამოცდილებას ასევე დელეგირებული მონიტორინგისა და შეფასების კუთხით. საერთო ჯამში, მონიტორინგისა და შეფასების სისტემური მიდგომის, ან ინსტიტუციურად გამართული პროცესის არარსებობა ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ასევე ამ პროცესში სამოქალაქო აქტორების ჩართულობაზე.

დაინტერესებული მხარეების მხრიდან სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგისა და უკუგების ხელშესაწყობად წინ გადადგმული ნაბიჯია საჯარო უწყებების მიერ ინიცირებული და ამოქმედებული სხვადასხვა ვებ-გვერდები, პლატფორმები და სხვა ელექტრონული რესურსები (მოქალაქეთა ელექტრონული პეტიციების ოფიციალური სამთავრობო პორტალი ichange.gov.ge, DCFTA-ს მონიტორინგის პლატფორმა, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული ფორმები და პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის მექანიზმები და სხვა), რომელთა უმრავლესობა საერთაშორისო პარტნიორების მიერაა უზრუნველყოფილი. ამასთან, გამოიკვეთა მსგავსი რესურსების სიმრავლე და მომხმარებლის დაბალი აქტიურობა. არსებული პლატფორმების ეფექტურობის უზრუნველყოფის, დუბლირების თავიდან აცილებისა და საკომუნიკაციო მექანიზმების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით მნიშვნელოვანია როგორც უწყებათაშორისი, ასევე სახელმწიფოსა და დონორთა შორის კოორდინაციის გაუმჯობესება.

5.4. რეკომენდაციები

1. დეცენტრალიზაცია

რეგიონული პოლიტიკის პროცესის გასაუმჯობესებლად, სადაც მნიშვნელოვანი როლი სამოქალაქო აქტორების ჩართულობას ენიჭება, მნიშვნელოვანია ქვეყანაში ადმინისტრაციული და ფინანსური დეცენტრალიზაციისკენ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

2. ინსტიტუციური მექანიზმები

სამოქალაქო აქტორების ჩართულობის შესახებ ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულება საკმარისი პირობა უნდა იყოს ხელისუფლების მხრიდან დაინტერესებული მხარების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად ამისა, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, მართებული იქნება:

ა) ეროვნულ დონეზე პოლიტიკის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმის შემოღება;

ბ) ადგილობრივ დონეზე არსებული მექანიზმების სრულყოფა/ოპტიმიზაცია და აღსრულების უზრუნველყოფა.

ორივე შემთხვევაში მექანიზმი უნდა ასახავდეს რეგიონული პოლიტიკის პროცესის დაინტერესებული მხარეების განსხვავებული ინტერესების, კომპეტენციის, კვალიფიკაციისა და მიზნობრიობის სისტემური იდენტიფიცირებისა და კოორდინაციისთვის შესაბამის ბერკეტებს.

როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეებზე მნიშვნელოვანია დაინერგოს და უზრუნველყოფილ იქნას კერძო სექტორთან და რეგიონულ უნივერსიტეტთან ინსტიტუციური თანამშრომლობის ორმხრივი და სამმხრივი (ხელისულება-ბიზნესი, ხელისუფლება-უნივერსიტეტი, ბიზნესი-უნივერსიტეტი) მექანიზმები და ბერკეტები, სადაც:

ა) სახელმწიფო უკეთესად შეაფასებს კერძო სექტორს, როგორც რეგიონული პოლიტიკის მოთამაშეს და აამოქმედებს ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტებს, როგორც მსხვილი კორპორაციების, ასევე მოქნილი მიკრო-საფინანსო ინსტიტუციებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობით

ბ) რეგიონულ უნივერსიტეტებს მიეცემათ საშუალება სიღრმისეულად გაიაზრონ სპეციფიკური სექტორული საკითხები და მონაცემები, რეგიონული საჭიროებების უკეთესად დასაკმაყოფილებლად, რისთვისაც სახელმწიფომ უნდა მოიაზროს

ადგილობრივი უნივერსიტეტი, როგორც სამხარეო განვითარების მიზნობრივი ზერკეტი.

3. უწყებათაშორისო კოორდინაცია და თანამიმდევრულობა

- გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონული პოლიტიკის პროცესი მეტად ინკლუზიური და თანამშრომლობითია, თუკი პოლიტიკის მოცემული მიმართულება ბმაშია საერთაშორისი პარტნიორის/დონორის პროგრამასთან, აუცილებელია როგორც უწყებათაშორისო, ასევე დონორი-დონორი და დონორი-ხელისუფლება გაუმჯობესებული კოორდინაცია, პროგრამებისა და პროექტების ადმინისტრაციული და ფინანსური სინქრონიზაციის მიზნით
- ზემო პირობის გათვალისწინებით, საერთაშორისო პარტნიორების მიერ მხარდაჭერილი პროექტებისა და მექანიზმების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, მნიშნელოვანია გრძელვადიანი დაფინანსების მექანიზმების გააზრება და გააქტიურება

4. მონიტორინგი და შეფასება.

- პოლიტიკის განხორციელების ეტაპზე მნიშვნელოვანია პროექტების ეფექტური და ქმედითი მონიტორინგისა და შეფასების უზრუნველყოფა, სადაც მექანიზმი ასევე გაითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა დამოუკიდებელ მონიტორინგსა და შეფასებას.
- მართებული მონიტორინგისა და შეფასების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია წარმატებული მოდელების (მაგ. „აწარმოე საქართველოში" მცირე საგრანტო პროგრამა) შეფასება და წარმატებული პრაქტიკის დანერგვა
- სახელმწიფომ სისტემურად უნდა უზრუნველყოს კერძო სექტორთან არსებული ეკონომიკური თანამშრომლობის მაგალითების შეფასება და არსებული საჯარო-კერძო თანამშრომლობითი მაგალითების საუკეთესო პრაქტიკის განვითარება და მათ შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხელშემწყობი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს როგორც უწყებათაშორისო ასევე დონორთა და დონორთა და სახელმწიფოს შორის კოორდინაცია, რაც ასევე გულისხმობს არსებული მექანიზმების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ყველა პოტენციურად დაინტერესებულ მხარესთან.

გამოყენებული ლიტერატურა

- Apostolache M.A. (2013) Regional development in Romania – from regulations to practice, 1st International conference "Economic Scientific Research – Theoretical Empirical and Practical Approaches, ESPERA, ხელმისაწვდომია www.sciencedirect.com
- Bachtler J., Mendez C., Vironen H., (2014) Regional development and policy in Europe, Contributions for the debate in Latin America; Collection Studies: Analysis Area: Decentralization, European Policies Research Centre EPRC
- Blazek J., Hample M. (2009), Types and Systems of Actors in Regional Development: Their Function and Regulatory Potential, European Spatial Research and Policy, V.16, #1
- Casula M., (2015), Opportunity Structures for Citizens' Participation in Italian Region: A Case Study, Journal of Public Deliberation, vol.11, issue 2, article 6
- Cleverism (2017), "How Businesses Do Lobby for Political Influence", ხელმისაწვდომია https://www.cleverism.com/businesses-lobby-for-political-influence
- Dawes S., Helbig N., Shahin J., Mkude C., Cotterell G., Klievink B., Dzhusupova Z (n/d), Comparative Analysis of Stakeholder Engagement in Policy Development , ხელმისაწვდომია https://www.coursehero.com/file/13024280/09-Comparative-Analysis-of-Stakeholder-Engagement-in-Policy-Development
- DCED, OXFAM (2016), Does business structure influence social impact? Early insights and practical implications for donor agencies Briefing Note, ხელმისაწვდომია https://www.enterprise-development.org/wp-content/uploads/Does-business-structure-influence-social-impact-OxfamDCED-Briefing-Note.pdf
- Dua A., Heil K. & Wilkins J (2010), How business interacts with government: McKinsey Global Survey results, https://www.mckinsey.com/industries/public-sector/our-insights/how-business-interacts-with-government-mckinsey-global-survey-results
- EEA Report (2014), Public participation: contributing to better water management, Experiences from eight case studies across Europe, #3, ISSN 1977-8449, ხელმისაწვდომია http://www.gwp.org/globalassets/global/toolbox/case-studies/asia-and-caucasus/eea-03-2014-public-participation.pdf
- EMPARD (2017), საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020, ხელმისაწვდომია http://enpard.ge/en/wp-content/uploads/2015/05/Rural-Development-Strategy-of-Georgia-2017-2020.pdf
- EMPARD (n/d), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2017, სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია 2018-2019, ხელმისაწვდომია http://enpard.ge
- EPRC (2014), სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მონიტორინგი და ეფექტიანობის ანალიზი 2014, ხელმისაწვდომია https://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Broshure_Village_Geo_WEB_1.pdf

- EU (n/d), EU Cohesion Policy and Structural and Investment Funds, Fact Sheet ხელმისაწვდომია http://cor.europa.eu/en/welcome/Documents/Update%204%20June%2015/MOOC_EU_cohesion_policy_and_ESIF.pdf
- Europe for Citizens, 2012, Local Public Participation in Europe, Case Studies from Romania, Poland, Slovakia and Belgium, Action and Reflection for Engaged Citizens, ხელმისაწვდომია https://www.ce-re.ro/upload/Case-Studies-Local-Public-Participation-in-Europe.pdf
- European Commission (2014), An introduction to EU Cohesion Policy 2014-2020, ხელმისაწვდომია http://ec.europa.eu/regional_policy/sources/docgener/informat/basic/basic_2014_en.pdf
- European Commission (2014), Guidance Document on Monitoring and Evaluation, European Cohesion Fund European Regional Development Fund Concepts and Recommendations (2014-2020), ხელმისაწვდომია http://ec.europa.eu/regional_policy/sources/docoffic/2014/working/wd_2014_en.pdf
- European Commission, "European Neighborhood Policy" (n/d), ხელმისაწვდომია http://ec.europa.eu/regional_policy/en/policy/cooperation/international/neighbourhood-policy
- European Institute for Public Participation (EIPP), (2009), Public Participation in Europe: an International Perspective ხელმისაწვდომია http://www.partizipation.at/fileadmin/media_data/Downloads/Zukunftsdiskurse-Studien/pp_in_e_report_03_06.pdf
- **FAO** (2012), სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში საქართველო , ხელმისაწვდომია http://www.fao.org/docrep/field/009/aq673ka/aq673ka.pdf
- Freeman E, Hörisch J. & Schaltegger S. (2014) with, Applying Stakeholder Theory in Sustainability Management: Links, Similarities, Dissimilarities, and a Conceptual Framework, Organization Environment,1086026614535786.
- Food Standards Agency (n/d), HACCP, ხელმისაწვდომია https://www.food.gov.uk/business-industry/food-hygiene/haccp
- Franklin N. E. (2009), „The Need Is Now: University Engagement in Regional Economic Development", Journal of Higher Education Outreach and Engagement, Volume 13, Number 4, ხელმისაწვდომია openjournals.libs.uga.edu
- Garcia-Zamor J-C (2012), Public Participation in Urban Developmet: the Case of Leipzig, Germany. Journal of Public Administration and Policy Research, vol 4(4), pp.75-83
- Giddens A. (1984), The Constitution of Society: Outline of the Theory of Structuration, Cambridge: Polity Press
- Heil P (2017), The Co-ordination of Regional Development Policy in Georgia, Report developed by the project "Support to Regional Development Policy Implementation II",

ხელმისაწვდომია http://www.regpol.ge/images/Documents/The_Co-ordination_of_Regional_Development_Policy_in_Georgia_draft.compressed.pdf

- Holmes B. (2011), Citizens' Engagement in Policymaking and the Design of Public Services, Politics and Public Administration Section, Research Paper no. 1 2011–12, ხელმისაწვდომია https://www.aph.gov.au/About_Parliament/Parliamentary_Departments/Parliamentary_Library/pubs/rp/rp1112/12rp01
- IDFI (2017), მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკის შეფასება ბათუმში, ქუთაისსა და ახალციხეში მუნიციპალიტეტებში, ხელმისაწვდომია https://idfi.ge/ge/assessment_of_citizen_engagement_practices_in_the_municipalities_of_batumi_kutaisi_and_akhaltsikhe
- International Trade Forum Magazine (2002), "Business Advocacy: Setting Strategies that Influence Trade Policy", ხელმისაწვდომია http://www.tradeforum.org/Business-Advocacy-Setting-Strategies-that-Influence-Trade-Policy
- Investopedia (n/d), What is Public-Private Partnership, ხელმისაწვდომია www.investorpedia.com
- Kamieniecki S (2010), "Business influence over environmental policy and regulation is targeted", Interview by Jennifer McNulty, ხელმისაწვდომია http://news.ucsc.edu
- Macedo de Jesus, A (n/d), Policy-Making Process and Interest Groups: How do Local Government Associations Influence Policy Outcome in Brazil and the Netherlands? United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO), ხელმისაწვდომია http://socialsciences.scielo.org/pdf/s_bpsr/v5nse/scs_a03.pdf
- Marsne.gove.ge (2015), საქართველოს მთავრობის განკარგულება №17 50, 2015 წლის 20 აგვისტო, ქ. თბილისი, რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/2959145
- Matsne.gov.ge (2014) ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 2014 , ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429,
- Matsne.gov.ge (2015), საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/2924386
- Matsne.gov.ge (2015), საქართველოს მთავრობის განკარგულება №17 50, 2015 წლის 20 აგვისტო, ქ. თბილისი, რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/2959145
- Matsne.gov.ge (2015)კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/2924386
- Metsne.gov.ge (2016), საჯარო და კერძო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტი, ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/3298735
- Michels A&De Graaf L., (2010) Examining Citizen Participation: Local Participatory Policy Making and Democracy, Local Government Studies, 36:4, 477-

491, DOI: 10.1080/03003930.2010.494101, ხელმისაწვდომია https://www.tandfonline.com/action/showCitFormats?doi=10.1080%2F03003930.2010.494101

- NALA (n/d), გრძელვადიანი სტრატეგია დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის 2017-2029 ძირითადი ორიენტირები, ხელმისაწვდომია http://nala.ge/uploads/decentralizaciis%20orientirebi.pdf
- National Center for Justice Planning (NCJP), (n/d), Keys to success in community-based strategic planning, ხელმისაწვდომია http://ncjp.org/strategic-planning/keys-success/stakeholders
- Nonformality.org (2012), Models of Participation & Empowerment (2012), Version 2, ხელმისაწვდომია http://www.nonformality.org/wp-content/uploads/2012/11/Participation_Models_20121118.pdf
- **O'Brien C (2011), "**Why academics should learn how to influence government policy", The Guardian, ხელმისაწვდომია https://www.theguardian.com/higher-education-network/blog/2011/jun/07/academics-learn-influence-government-policy
- Sartorius W. & Kakabadze N. (2017), Analysis of Coherence, Gaps and Overlaps between Strategies and Plans Important from Regional Development Policy Perspective Report developed by the project "Support to Regional Development Policy Implementation II", ხელმისაწვდომია http://www.regpol.ge/images/Documents/Analysis_of_Coherence_Gaps_and_Overlaps_between_Strategies_and_Plans_Important_from_Regional_Development_Policy_Perspective.pdf
- Schramm Ch (2006), , Private Sector Participation (PSP) in Urban Public Services: Comparison of Laws and Institutions in MENA Countries, World Bank Urban Environment Workshop, ხელმისაწვდომია http://www.euromedina.org/bibliotheque_fichiers/alex_Schramm.pdf
- The Council for Science and Technology (2008), „How academia and Government can work together", ხელმისაწვდომია https://www.timeshighereducation.com/Journals/THE/THE/13_November_2008/attachments/academia_gov_work_together_CST.pdf
- The Study of Effectiveness of Mechanisms for Public Consultations (BEKS), by Pracownia Badan i Innowacju Spolecznych "Stocznia" and MillwardBrown SMG/KRC for the Ministry of Labour and Social Policy, ციტ. Europe for Citizens 2012
- Trippl M., Sinozic T. & Smith H.L. (2014), The role of universities in regional development: conceptual models and policy institutions in the UK, Sweden and Austria. Centre for Innovation, Research and Competence in the Learning Economy (CIRCLE), Lund University, ხელმისაწვდომია http://wp.circle.lu.se/upload/CIRCLE/workingpapers/201413_Trippl_et_al.pdf
- World Bank (2012), Strategic Framework for Mainstreaming Citizen Engagement in Worls Bank Group Operations, ხელმისაწვდომია

https://consultations.worldbank.org/Data/hub/files/consultation-template/engaging-citizens-improved-resultsopenconsultationtemplate/materials/finalstrategicframeworkforce.pdf

- Żuber P., Heil P., Tétényi T., Archuadze Z.., Sopromadze E., (, Map of Functions of Institutions in regard to Regional Development (2017), Report developed by the project “Support to Regional Development Policy Implementation II”, ხელმისაწვდომია http://www.regpol.ge/images/Documents/Map_of_Functions_of_Institutions_in_Regard_to_Regional_Development.pdf
- ააიპ „კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტო“ წესდება საქართველო, ქალაქი თელავი 2017 წლის 30 მარტი, ხელმისაწვდომია www. krda.ge
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა პროექტი, ხელმისაწვდომია http://adjara.gov.ge/uploads/Docs/acdb5711834a4d0e86f1f4f04e46.pdf
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2013), პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2013-2020 http://www.mes.gov.ge/uploads/300.pdf
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართელოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (2015), საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, ხელმისაწვდომია www.gnta.ge
- საქართველოს მთავრობა (2013), პროფესიული განათლების რეფორმის 2013-2020 სტრატეგია, ხელმისაწვდომია http://gov.ge/files/273_39678_242377_300-1.pdf
- საქართველოს მთავრობა (2015) 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, ხელმისაწვდომია http://gov.ge/files/381_43285_728272_1215-1.pdf
- საქართველოს მთავრობა (n/d), საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 (პროექტი), ხელმისაწვდომია http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf;
- საქართველოს მთავრობა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020 (პროექტი) (2013), ხელმისაწვდომია https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (n/d), საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება №23 2013 წლის 7 თებერვალი ქ. თბილისი, ხელმისაწვდომია http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/3.pdf,
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (2014), საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიები 2014-2021

წლებისთვის და სამოქმედო გეგმები, ხელმისაწვდომია http://www.mrdi.gov.ge/en/news/regional-development-strategies-2014-2021-regions-georgia

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (n/d), საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020, ხელმისაწვდომია http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/sakartvelos_socialur-ekonomikuri_ganvitarebis_strategia_-_sakartvelo_2020.pdf
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (2014), ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, ხელმისაწვდომია http://mfa.gov.ge
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2015), საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, ხელმისაწვდომია http://moa.gov.ge/index.php/Public/Strategy/8
- ყიფიანი დ. (2016), მოქალაქეთა მონაწილეობის სტიმულირება თვითმმართველობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში, ანგარიში, ხელმისაწვდომია http://www.ctc.org.ge/sites/default/files/publications/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

დანართი #1

გამოკითხული ორგანიზაციების სია:

<u>**საჯარო სექტორი:**</u>

- ➢ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- ➢ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო:
- \- მინისტრის მოადგილე ბიზნეს განვითარების მიმართულებით
- \- მინისტრის მოადგილე ევროინტეგრაციის მიმართულებით
- \- პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი
- ➢ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო
- ➢ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი
- ➢ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო:
- \- ეკონომიკური ანალიზისა და რეფორმების დეპარტამენტი
- \- რეგულირების გავლენისა და კონკურენტუნარიანობის კვლევის სამმართველო
- \- სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
- ➢ სსიპ - აწარმოე საქართველოში მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტი
- ➢ კახეთის გუბერნატორი

<u>**კერძო სექტორი**</u>

- ➢ ქართული ჩაის კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი
- ➢ ღვინის სასტუმრო „შატო მერე“, კახეთი
- ➢ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი
- ➢ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესის საბჭო
- ➢ სოფლის მეურნეობის პროდუქტის გადამამუშავებელი საწარმო, ზუგდიდი
- ➢ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ბენეფიციარი, ამხანაგობა, სამცხე-ჯავახეთი
- ➢ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ბენეფიციარი, მიკრო მეწარმე, სამცხე-ჯავახეთი

<u>**არასამთავრობო სექტორი**</u>

- ➢ საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაცია
- ➢ საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“
- ➢ რეგიონის განვითარების ცენტრი
- ➢ საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

- სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CIDA)
- რეგიონული განვითარების ასოციაცია, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განმახორციელებელი

<u>საგანმანათლებლო სექტორი</u>

- თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
  - ტურიზმის ფაკულტეტი
  - პროფესიული პროგრამების მართვის სამსახური
- ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერისტეტი